

ახალი რწმუნებული იმერეთში - რთული თემა პრეზიდენტისთვის A2



"გულახდილად" A5



ბინდათ, მოიპოვოთ ნობელის პრემია? A7


# 24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 10 დეკემბერი, 2005 წელი. №274 (1134)

ფასი 50 თეთრი


## უცხოეთი

### თეირანს ისრაელის ევროპაში "გადატანა" სურს



ირანის პრეზიდენტის მოჰამედ აჰმადინეჯადის სკანდალურმა განცხადებამ, ისრაელის ევროპაში "გადატანის" თაობაზე, პოლიტიკოსთა პროტესტი მთელ მსოფლიოში გამოიწვია.

A3

## სამართალი

### ასლან აბაშიძე კვლავაც ძებნილია

აჭარის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის ადვოკატების სარჩელი და ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.

A4

## სამართალი

### ბალეტმაისტერ თამაზ ვაშაკიძეზე ძებნა გამოცხადდა

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ყოფილი დირექტორი თამაზ ვაშაკიძე ძებნილად გამოცხადდა.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 10/12 | 11 /12 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 10 |
| ტყიბული | 16 | 15 |
| სოხუმი | 13 | 12 |
| დმანისი | 8 | 8 |
| გორი | 11 | 11 |
| ონი | 7 | 7 |
| ზუგდიდი | 17 | 16 |
| ახმეტა | 13 | 10 |
| გაგრა | 11 | 9 |
| სამტრედია | 17 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7850 |
| ევრო | 2.1029 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1198 |
| რუბლი | 0.0617 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| კვირა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| მეცნიერება | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ფინანსთა მინისტრმა პარლამენტში ბეწვის ხიდზე გაიარა

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო ოპოზიციამ ფინანსთა მინისტრს ლექსო ალექსიშვილს ვერაფერი ავნო. მისი იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების თაობაზე ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" მიერ დაყენებულ მოთხოვნას მხოლოდ 26-მა პარლამენტარმა დაუჭირა მხარი, 63-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა. ალექსიშვილს მხსნელად ის მოევლინა, ვისგანაც, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ელოდა შველას: საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით კირკიტაძემ ორიოდე დღის წინათ ფინანსთა მინისტრი მკაცრად გააკრიტიკა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის არასაკმარისი ოდენობით დაფინანსების გამო. ამიტომ, ბევრი ვარაუდობდა, რომ ალექსიშვილის გადაყენების მოთხოვნის უკან სწორედ კირკიტაძე იდგა.

გაგრძელება A3 გვერდზე



ფინანსთა მინისტრის იმპიჩმენტის ინიციატორი კობა დავითაშვილი იყო.

# როგორია მოსახლეობის ინფორმირებულობა ბიუჯეტის შესახებ?

*ამ დღეებში პარლამენტი ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ კანონს დაამტკიცებს. ეს ერთ-ერთი იმ კანონთაგანია, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა. ეს თავად ამ ადამიანებმაც კარგად უწყიან, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების პროცესში მათი აქტიურობა არის მთავარი გარანტი მათი უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად.*

ეთერ მამულაშვილი

ბიუჯეტი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობისთვის, ძირითადად, ხელფასებთან და პენსიებთან ასოცირდება, ექსპერტების შეფასებით, ერთ-ერთი ყველაზე რთულად აღსაქმელი იურიდიული დოკუმენტია.

სხვადასხვა კვლევებმა თუ ზედაპირულმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს საკმარისი და საჭირო ინფორმაცია არც სახელმწიფო და არც რაიონული ბიუჯეტების შესახებ არ გააჩნია. ექსპერტების შეფასებით, ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს: ერთი - შესაბამის ინფორმაციაზე რიგ შემთხვევებში ხელმიუწვდომელობა, და მეორე - თავად ამ დოკუმენტის ფორმისა და შინაარსის სირთულე. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით, დღეს ესა თუ ის ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ უფრო მეტად ღია და ხელმისაწვდომია. თუმცა, საზოგადოების უმრავლესობის ცოდნის დონე ამ დოკუმენტის ირგვლივ არ შეცვლილა.

მოქალაქეების უმრავლესობას უჭირს აღქმა და გააზრება იმისა, რასაც ხელისუფლება მათი "კეთილდღეობის უზრუნველმყოფელ" ფინანსურ დოკუმენტს უწოდებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "მსოფლიო ფასებზე" გადასვლა რუსულად და უკრაინულად

უკრაინა უფლებას იტოვებს, რუსეთის წინაშე დასვას შავი ზღვის ფლოტის მიერ ყირიმში ობიექტების მსოფლიო ფასებით არენდის საკითხი, - ამის შესახებ პარასკევს კიევში გამართულ ბრიფინგზე უკრაინის პრეზიდენტის სამდივნოს უფროსის მოადგილემ ანატოლი მატვიენკომ განაცხადა.

**"თუ ჩვენ მსოფლიო ფასებზე გადავდივართ, მაშინ, ცხადია, უკრაინასაც აქვს უფლება, დააყენოს საკითხი უცხოური ჯარის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის მსოფლიო ტარიფებსა და სტანდარტებზე**, - აღნიშნა მატვიენკომ, - **ვფიქრობ, რომ მსგავს სიტუაციაში, ეს სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა."**

საგულისხმოა, რომ წინა დღეს ვლადიმირ პუტინმა უკრაინისთვის გაზის გაძვირების საკითხს მთავრობის სხდომის დიდი ნაწილი დაუთმო.

გაგრძელება A3 გვერდზე



# ხელისუფლებას კოპაძის მოხსნის ეშინია

*მოლოდინი არ გამართლდა, მოლოდინი იმისა, რომ გუშინწინ მომხდარი უპრეცედენტო ფაქტის გამო, იუსტიციის მინისტრი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე თავის წილ პასუხისმგებლობას არ გაექცეოდნენ. ასე არ მოხდა და... შოთა კოპაძე კვლავ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეა, ხოლო კოტე კემულარია კვლავ იუსტიციის მინისტრი. იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია კი, იმ მაღალჩინოსანთა პასუხისმგებლობის საკითხს სწავლობს, რომელთა უშუალო მითითებითაც, პატიმარ "კანონიერ ქურდს", ე.წ. მაყურებელს, ციხის კარი გაუღეს და გოგირდის აბანოებში გასეირნების საშუალება მისცეს.*

ინგა ალავიძე

არსებობს კულუარებში გახმაურებული, მაგრამ საჯაროდ განუცხადებელი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებრივ სამსჯავროზე გარკვეული მიზეზების გამო არავის გამოაქვს. საპატიმრო დაწესებულებებში, "ქურდული სამყაროს" სამზარეულოში მომხდარი ფაქტები სააშკარაოზე თითქმის არავის გამოუტანია. შსს-ს ოპერატიულმა დეპარტამენტმა მართლაც უპრეცედენტო ფაქტი გაახმაურა. მეტიც, დეპარტამენტის თანამშრომლებმა კრიმინალურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ავტორიტეტს "წრიპას" - დავით ქურასბედიანს ის გაუბედეს, რაც აქამდე, ალბათ, არც ერთი "ავტორიტეტისთვის" არ გაუბედავთ. მართალია, საქმე შსს-ს ოპერატიულმა დეპარტამენტმა გახსნა, მაგრამ "წრიპას" საქმეში მთავარი დამნაშავეები ჯერჯერობით არავის გამოუვლენია, პასუხისმგებლობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსანთაგან ჯერჯერობით არავის დაკისრებია - სამწუხაროდ, ისინი კვლავ ხელშეუხებლობის გარანტიით სარგებლობენ. სხვათა შორის, იმ დროს, როცა "სოდი" ასეთ მასშტაბურ სპეცოპერაციას ატარებდა, იუსტიციის მინისტრი ფინეთის საელჩოს მიღებაზე იმყოფებოდა და ფინეთის დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# მიგიციათ თუ არა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქრთამი?

### "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" კვლევის შედეგები

*მოგიწიათ თუ არა თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქრთამის მიცემა? ასეთია "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს მიერ გამოქვეყნებული "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" კვლევის ერთ-ერთი კითხვა, რომელიც მოსახლეობას დაესვა. გამოკითხულ რესპონდენტთა 7-მა პროცენტმა კითხვაზე დადებითად უპასუხა. მართალია, ეს ციფრი, წინა წელთან შედარებით, შემცირდა, მაგრამ წელს გადახდილი ქრთამის ოდენობა გაიზარდა. ამასთან, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რეფორმების განმახორციელებელი სექტორების მიმართ საზოგადოების ნდობა გაიზარდა, თუმცა სამომავლოდ ქვეყანაში კორუფციის შემცირების პერსპექტივასთან მიმართებაში ოპტიმიზმი შემცირდა. 2005 წელს ყველაზე კორუმპირებულად სასამართლო სისტემა დასახელდა.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ, საერთაშორისო ანტიკორუფციულ დღეს, "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

"გლობალური კორუფციის ბარომეტრი" საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაა, რომელიც ანტიკორუფციული ღონისძიებების შედეგების მიმართ მოქალაქეების დამოკიდებულებას იკვლევს.

2005 წელს ქართულმა საზოგადოებამ ყველაზე კორუმპირებულად სასამართლო სისტემა, საბაჟო და პოლიტიკური პარტიები მიიჩნია. ზოგადად კი, მიმდინარე წლის ბარომეტრის მიხედვით, გამოკითხულმა მოსახლეობამ კვლევაში შეტანილი თხუთმეტი სფეროს რანგირება შემდეგი სახით მოახდინა: სასამართლო სისტემა, საბაჟო, პოლიტიკური პარტიები, საგადასახადო ადმინისტრირება, სამედიცინო მომსახურება, პარლამენტი, კერძო სექტორი, ლიცენზირების სფერო, პოლიცია, მედია, განათლება, მომსახურების სფერო, არასამთავრობო სექტორი, სამხედრო სისტემა და ეკლესია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რატომ გადააქვთ სამინისტრო ვაშლიჯვარში?

*მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში მილიონ 400 ათასი ლარია გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოსტავას ქუჩიდან ვაშლიჯვარში, მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტის შენობაში გადაბარგებისთვის. პარლამენტი ამ ფაქტს აპროტესტებს, თუმცა ამით არაფერი იცვლება.*

ნანა ქადაგიშვილი

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი აცხადებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაშლიჯვარში გადატანის შემდეგ კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა გაიყიდება. **"ადგილმონაცვლეობის საკითხი იმიტომ დადგა, რომ არსებული შენობა სამინისტროსთვის ზედმეტად დიდია,"** - განმარტავს სვიმონიშვილი. კულუარებში კი ამბობენ - ამ შენობაში ერთ-ერთ ცნობილ ჩინოვნიკს სასტუმროს გახსნა უნდაო.

აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა სამინისტროს ინსტიტუტში გადატანის საკითხი ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ გააპროტესტა. მაშინ მიხო სვიმონიშვილი კომიტეტში საგანგებოდ დაიბარეს. კომიტეტის ერთ-ერთ წევრს მურმან ქურიძეს სვიმონიშვილის მოადგილის, ლილი ბეგიაშვილის მიერ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის მიწერილი წერილიც აღმოაჩნდა. აღნიშნულ წერილში ბეგიაშვილი (რომელიც მანამდე კახა ბენდუქიძის მოადგილე იყო) ეკომონიკური განვითარების სამინისტროსგან სოფლის მეურნეობის აკადემიის ბალანსზე რიცხული, მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტის შენობებისა და მიწის ნაკვეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის უზუფრუქტის წესით, უსასყიდლოდ გადაცემას ითხოვს. კომიტეტის წევრებმა მინისტრს აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით განმარტება მოსთხოვეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## თელავის გამგეობის თანამშრომლები გაფლანგვაზე დაიჭირეს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

გუშინ კახეთის საოლქო პროკურატურამ, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, თელავის გამგებლის მოადგილე, კულტურის განყოფილების ყოფილი უფროსი ჯუმბერ დარჩიაშვილი და ამავე განყოფილების ამჟამინდელი ხელმძღვანელი დავით ღალანიძე დააკავა.

**"ჩვენ მიერ მიერ გამოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ კულტურის განყოფილების ხელმძღვანელთა მხრიდან სისტემატურად ხდებოდა თანხების ხელოვნურად ზრდა და შემდეგ მითვისება, რამაც საერთო ჯამში 46 ათას 473 ლარი შეადგინა. საუბარია 2003-2004 წლებზე,"** - აცხადებს სამხარეო პროკურორის მოადგილე ვაჟა მაღრაძე.

როგორც ცნობილი გახდა, დარღვევების შესახებ ინფორმაციით სამართალდამცავებს თელავის რაიონოს გამგეობამ მიმართა. კულტურის განყოფილერბის საქმიანობაში გამგეობას ეჭვი მას შემდეგ შეეპარა, რაც კონტროლის პალატის მიერ შედგენილი მასალები, თელავის რაიონის ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვის თაობაზე, გენერალურ პროკურატურაში შევიდა და ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.

დავით ღალანიძე კულტურის განყოფილების გამგედ 2004 წლიდან მუშაობს. მანამდე განყოფილებას ჯუმბერ დარჩიაშვილი ხელმძღვანელობდა. დარჩიაშვილი ხშირად თელავის ყოფილ გამგებელს მედეა მეზვრიშვილს უპირისპირდებოდა. დარჩიაშვილს თელავის ბაზარი ეკუთვნოდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოერთვა და ჯაბრაილ ხანგოშვილს გადაეცა.

დავით ღალანიძისა და ჯუმბერ დარჩიაშვილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 332 მუხლის მესამე ნაწილით. ბრალდებულის სახით, ასევე, განყოფილების ბუღალტერი ეთერ ნაცვლიშვილიც დაიკითხა. დაკავებულებს აღმკვეთ ღონისძიებას დღეს შეუფარდებენ.

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე მონიტორინგი ჩატარდა

ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მონიტორინგი განახორციელეს. პროექტი "მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა" "ევრაზიის ფონდის" დახმარებით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის, გაეროს განვითარების პროგრამის და კომპანია "ბი პი"-ს ფინანსური მხარდაჭერით 16-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ განახორციელა.

როგორც "ევრაზიის ფონდის" ხელმძღვანელმა ქეთევან ხუციშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პროექტის ფარგლებში სამი სფეროს აუდიტორული შეფასება განხორციელდა, რის შემდეგაც არასამთავრობოებმა ნავთობსადენის ოპერატორ კომპანიას შესაბამისი რეკომენდაციები მისცეს.

ხუციშვილის განმარტებით, აუდიტორული შემოწმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებზე ზემოქმედების, ასევე შემდეგ სექტორებში ჩატარდა: ნარჩენების მართვა, აღდგენის პროცესი ანუ მშენებლობის კორიდორის აღდგენა საწყის კონდიციამდე და სოციალური და ადამიანის უფლებათა დაცვა მშენებლობის რეგიონში.

"ბი-პი"-ს საქართველოს საგარეო ურთიერთობათა მენეჯერის დევიდ გლენდენინგის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები და "ბი-პი"-სთვის მიცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი აუცილებლად გათვალისწინებული იქნება.

ქეთევან ხუციშვილის განმარტებით, აღნიშნული კვლევები მომავალშიც გაგრძელდება რაც, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარდა, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მონიტორინგსაც მოიცავს.

*პრაიმ-ნიუსი*

## თბილისში "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჩამოდის

12 დეკემბერს თბილისში კომპანია "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ რიაზანოვი ჩამოვა. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, მოლაპარაკებები "გაზპრომთან" ათწლიანი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაზე გაიმართება, რომელზეც მხარეები ბოლო თვეების განმავლობაში მუშაობენ. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ხელშეკრულება რიაზანოვის ვიზიტის ფარგლებში გაფორმდეს.

გილაურის განცხადებით, სამინისტრომ ორი დღის წინ "გაზპრომს" განსახილველად იმ ხელშეკრულებების ვარიანტები გადაუგზავნა, რომელსაც მას ქართული მხარე სთავაზობს. საუბარია ხელშეკრულებაზე, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და "გაზპრომს" შორის და "გაზის საერთაშორისო კორპორაციასა" და "გაზექსპორტს" შორის უნდა გაფორმდეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ავსტრიის ეროვნული ბანკი საქართველოს ეროვნულ ბანკს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით, ავსტრიის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ჰერბერტ სჩიმეტსჩეკის მიწვევით, ვენაში იმყოფებოდა. ავსტრიის დედაქალაქში რომან გოცირიძე სალონიკიდან (საბერძნეთი) ჩავიდა. მან მონაწილეობა მიიღო "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" მმართველთა საბჭოს მუშაობაში, რომელსაც ამ ბანკის ახალი პრეზიდენტი უნდა აერჩია. საბჭომ ბანკის პრეზიდენტად თურქეთის წარმომადგენელი ჰაირეტინ კაპლანი დანიშნა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნულ კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

ავსტრიაში ვიზიტის ფარგლებში რომან გოცირიძე ამ ქვეყნის ეროვნული ბანკის სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის, მათ შორის, ევროპაში ყველაზე გამართული საკასო ცენტრის საქმიანობას გაეცნო. ავსტრიის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ქართველ კოლეგას საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლების ვენაში უფასო სტაჟირების ორგანიზებაში დახმარება აღუთქვა. გარდა ამისა, ავსტრიის ეროვნული ბანკის წამყვანი სპეციალისტები თბილისში გამართავენ ტრენინგებსა და სემინარებს, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

*24 საათი*

## ახალი რწმუნებული იმერეთში - რთული თემა პრეზიდენტისთვის

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

საქართველოს პრეზიდენტის ქუთაისში ვიზიტის თაობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არაფერი იცოდა, უბრალოდ, იმის გამო, რომ ნახევარ ქალაქს, რამდენიმე თვეა, ელექტროენერგია არ მიეწოდება და, შესაბამისად, ინფორმაციულ ვაკუუმში არიან. როგორც ჩანს, ქუთაისის მოსახლეობის ამ "გასაჭირის" თაობაზე არც პრეზიდენტი იყო მაინცდამაინც ინფორმირებული, რადგან ქუთაისში მყოფმა სააკაშვილმა ერთ-ერთი პირველი მადლობა სწორედ ენერგეტიკის მინისტრს გადაუხადა, ელექტროენერგიის პრობლემის გადაჭრის გამო.



*ბობოხიძის შემცვლელთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ჯერ პრეზიდენტი ჩამოყალიბებული არ არის.*

პრეზიდენტს "მასობრივი" მასპინძლობა ქუთაისში მხარის გადამდგარი რწმუნებულის აკაკი ბობოხიძის მშობლიური ხონიდან მობილიზებულმა 200-მდე ადამიანმა გაუმართა, რომლებმაც სააკაშვილისგან მათი ყოფილი მაჟორიტარისა და შემდეგში გუბერნატორის დაბრუნება ითხოვეს.

**"არანაირი მხარდაჭერა საკუთარ პრეზიდენტთან არ მჭირდება. მინდა, უბრალოდ, მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც აქ მოვიდა და ვისთვისაც ღირსება ყველაზე მაღლა დგას ამ ქვეყანაზე. გადაწყვეტილება მიღებულია და იგი, ალბათ, არ შეიცვლება იმიტომ, რომ რწმუნებულობა არ არის ერთადერთი პოსტი, საიდანაც შეიძლება კაცი ქვეყანას ემსახუროს. ჩემს შემცვლელთან დაკავშირებით მე პრეზიდენტს ჩემი აზრი უკვე მოვახსენე და რამდენად დათანხმდება თვითონ ის კაცი, ეს სხვა თემაა,"** - აცხადებს აკაკი ბობოხიძე "24 საათთან" საუბარში.

გავრცელებული ინფორმაციით, იმერეთში გუბერნატორობის შეთავაზება ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა მიიღო. ასევე, გავრცელებული ინფორმაციით, ამ თანამდებობის დასაკავებლად პარლამენტში ნინო ბურჯანაძის კვოტით შესული, ამჟამად "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერი გოჩა თევდორაძე ემზადება.

ბობოხიძის შემცვლელთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ჯერ პრეზიდენტი ჩამოყალიბებული არ არის. **"უფრო მარტივი შეკითხვა დამისვით, რა!"** - განაცხადა პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბარში.

მარტივი თემებიდან კი, პრეზიდენტმა საკუთარი მთავრობის ორწლიანი მიღწევები წარმოადგინა და ხელისუფლების მუშაობა ასე შეაფასა: **"პრეზიდენტობა არის ჩვეულებრივი პროფესია, იმ დღეს ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ, როცა მე შედეგი არ მაქვს, იმიტომ, რომ თუ ადამიანი არ არის შედეგზე ორიენტირებული, კაპიკი აქვს მის ცხოვრებას ფასი, გინდა, პრეზიდენტი იყოს, გინდა, გაერო-ს გენერალური მდივანი და გინდა, უბრალოდ, რომელიმე რაიონის გამგებლის მოადგილე. ეს არის ყველა მმართველის მთავარი პრინციპი. და დღეს მე ვარ ძალიან კარგ ხასიათზე იმიტომ, რომ ორთვენახევრის წინ ლომაიასთან ერთად ვთქვით, გავაკეთებთ ქუთაისში სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას და გავაკეთეთ ეს სკოლა და საერთოდ, ბოლო ხანებში თუ შეამჩნევთ, რასაც ვამბობთ, ყველაფერს ვაკეთებთ."**

სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას ქუთაისში ზურაბ ჟვანიას სახელი ეწოდა და მისი გახსნა ქვეყნის პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ სწორედ ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაბადების დღეს დაამთხვიეს.

**"ზურაბ ჟვანია, უდავოდ, იყო ჩვენი ეპოქის გამოჩენილი მოღვაწე. ადამიანი, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა იმისათვის, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა ქაოსიდან გამოსულიყო და ჩამოყალიბება დაეწყო, როგორც სრულფასოვან, ნამდვილ, სანიმუშო, მისაბაძ სახელმწიფოს. ზურაბ ჟვანიას დამსახურებაა, რომ მოვიდა ქართულ პოლიტიკაში პოსტნომენკლატურული თაობა,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

**"ბატონ ზურაბს მართლაც დიდი წვლილი აქვს ე.წ. GIPA-ს სასწავლებლის ფუნქციონირებაში. იგი მუდმივად ლექციებს კითხულობდა ამ სასწავლებელში და მიხარია, რომ სწორედ ქუთაისში გაიხსნა ამ ტიპის სახელმწიფო მოხელეთა სკოლა,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ "24 საათთან" საუბარში.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა საჯარო სექტორში დასაქმების მსურველთა გადამზადებას ემსახურება. პირველ ეტაპზე სკოლაში 50 არაქართულენოვანი (25 - აზერბაიჯანელი და 25 - სომეხი) სტუდენტი გაივლის სპეციალურ სწავლებას, უპირველესად, ქართული ენის შესასწავლად. ასევე, მათთან ერთად ადმინისტრირების კუთხით 25 მომავალი მოხელე გადამზადდება საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან.

**"ყველა თქვენგანი გახდება ახალი მრავალეროვანი ქართული სახელმწიფოს თანამდებობის პირი, როცა ამ სკოლას წარმატებით დაამთავრებთ,"** - მიმართა პრეზიდენტმა სტუდენტებს, რომლებიც ქუთაისში სწავლას ერთი კვირის შემდეგ შეუდგებიან. ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულ სკოლაში 400-მდე მომავალი სახელმწიფო მოხელე გადამზადდება.

ზუსტად ერთსაათიანი ვიზიტი მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში უფასო სასადილოს გახსნით დაასრულა. მზრუნველობას მოკლებულთათვის უფასო სასადილო "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ეგიდით გაიხსნა. ქუთაისის სასადილოში, 60-მდე მოხუცთან ერთად, ქვეყნის პრეზიდენტმა წიწიბურაც დააგემოვნა, თან მისდამი მიძღვნილი ლექსებიც მოისმინა.

## მიგიციათ თუ არა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქრთამი?

პირველი გვერდიდან

**"2004 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციის მიმართ. გასულ წელს პოლიცია ყველაზე კორუმპირებული სფეროების სათავეში იდგა, წელს მან მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა. საზოგადოების აზრით, მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა ლიცენზირების სფეროში და განათლების სისტემაშიც,"** - ნათქვამია "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" კვლევის შედეგებში.

სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა გამოკითხულთა 51 პროცენტმა უარყოფითად შეაფასა. ამ მაჩვენებლით სასამართლო 14 პროცენტით უსწრებს მეორე ადგილზე გასულ საბაჟო სისტემას, რომელსაც მესამე ადგილზე გასული პოლიტიკური პარტიები 1 პროცენტით ჩამორჩება. ეკლესია, არასამთავრობო სექტორი, მასმედია და სამხედრო სისტემა, გასული წლის მსგავსად, ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულ სფეროებად იქნა მიჩნეული.

"მოგიწიათ თუ არა თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქრთამის მიცემა?" კითხვაზე დადებითი პასუხი გამოკითხულთა შვიდმა პროცენტმა გასცა. ეს ციფრი, წინა წლის შედეგთან შედარებით, შემცირდა, თუმცა 2005 წელს გაიზარდა გადახდილი ქრთამის ოდენობა. დასახელებული 7 პროცენტიდან 27 პროცენტს 1000 აშშ დოლარზე მეტი აქვს ქრთამის სახით გაცემული. შემთხვევათა 61 პროცენტში ქრთამი მეორე მხარის მიერ იქნა მოთხოვნილი.

კვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მოსახლეობის მომავლის მიმართ დამოკიდებულებას დაეთმო. 2005 წელს, კორუფციის აღმოფხვრის შესაძლებლობისადმი ოპტიმისტურად განწყობილთა რაოდენობამ 22 პროცენტით იკლო. ამ ფონზე, აღსანიშნავია გასული წლის მონაცემები: 2004 წლის კვლევის შედეგების თანახმად, საქართველო კორუფციის აღმოფხვრის შესაძლებლობისადმი ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილ ქვეყანათა სამეულში მოხვდა.

**"ამგვარი ცვლილება, ნაწილობრივ, პოსტრევოლუციური ეიფორიის განელებით შეიძლება აიხსნას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე წარმატებული რეფორმის მიუხედავად, საზოგადოება არ არის ბოლომდე კმაყოფილი ზოგადი ანტიკორუფციული პოლიტიკით,"** - ვკითხულობთ "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" კვლევის შედეგებში. კერძოდ, კონკრეტულ სფეროებში ჩატარებულ რეფორმებს ხალხი დადებითად აფასებს, მაგრამ აქვე დამატებითი ცვლილებების აუცილებლობასაც აღიარებს.

**"განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სასამართლო სისტემა ყველაზე კორუმპირებულ ინსტიტუტად აღიქმება. ეს მაშინ, როდესაც საკუთარი უფლებების დაცვის და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისთვის აუცილებელია, რომ საქართველოს მოქალაქეებს სასამართლოს იმედი ჰქონდეთ და ამ სისტემას უყურებდნენ, როგორც კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას,"** - მიიჩნევენ "საერთაშორისო გამჭვირვალობის" ექსპერტები.

რაც შეეხება აღნიშნული კვლევის საერთაშორისო მასშტაბებს. მეორე წელია, 45 ქვეყანაში პოლიტიკურ პარტიებს ყველაზე კორუმპირებულად მიიჩნევენ. მას პარლამენტი, პოლიცია და იურიდიული სისტემა მოსდევს.

ცნობისათვის, საქართველოში, "საერთაშორისო გამჭვირვალობის" მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კვლევა GALLUP INTERNATIONAL-ის წევრმა ორგანიზაციამ GORBI-მ ჩაატარა.

## რატომ გადააქვთ სამინისტრო ვაშლიჯვარში?

პირველი გვერდიდან

როგორც სვიმონიშვილმა განაცხადა, სამინისტროს გადასვლა ინსტიტუტის საქმიანობას ხელს არ შეუშლის, რადგან ერთ შენობაში ორივე დაწესებულება თავისუფლად მოთავსდება. თუმცა, აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრები მინისტრის განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა. **"ინსტიტუტის თანამშრომლები აცხადებენ, რომ მათ შენობაში ზედმეტი ფართი არ არის. ეს შენობა 1962 წელს მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტისთვის სპეციალურად აშენდა,"** - აღნიშნა კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ გიორგი ხევიაშვილმა.

სხდომის შემდეგ კომიტეტმა გააკეთა დასკვნა, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტის შენობაში გადატანა მიზანშეწონილი არ არის.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით კომენტარს ვერ აკეთებენ. **"ჩვენ ეს საკითხი მაშინ შეგვეხება, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობის პრივატიზების პროცესი დაიწყება, ჯერჯერობით კი ეს საკითხი არ დგას,"** - განგვიმარტა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა ილია გოცირიძემ.

სოფლის მეურნეობის მინისტრი კი აცხადებს, რომ სამინისტროს მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტის შენობაში გადატანის საკითხი დღის წესრიგში ისევ დგას, ოღონდ, კონკრეტული ვადები რამდენიმე თვეში დადგინდება.

## გიორგი ბარამიძე აშშ-ს პოლიტისტებლიშმენტის წარმომადგენლებს შეხვდა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტს აგრძელებს. 7-8 დეკემბერს გიორგი ბარამიძე აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის წარმომადგენელს დევიდ მერკელს, ვიცე-პრეზიდენტის ოფისის წარმომადგენელს ჯო ვუდს, თავდაცვის მდივნის თანაშემწეს პიტერ ფლორსა და თავდაცვის მდივნის წარმომადგენელს ჯიმ მაგდუგალს შეხვდა. სახელმწიფო მინისტრმა მნიშვნელოვანი შეხვედრები სენატორ რიჩარდ ლუგარსა და კონგრესმენ რობერტ ვექსლერთანაც გამართა.

შეხვედრებზე ყურადღება, ძირითადად, საქართველოში არსებული კონფლიქტების, მათი მოგვარების სამშვიდობო გეგმისა და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებზე გამახვილდა.

აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტსა და ეროვნული უშიშროების საბჭოში კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სამშვიდობო გეგმის განხორციელებასა და ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებში ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს და მზად არის, ამ მიზნების მისაღწევად საქართველოს კონკრეტული დახმარება აღმოუჩინოს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის სახით ადგილობრივ ბიუჯეტებში შეტანილი თანხა გასულ წელს შეტანილს 1,6 მილიონ ლარით აღემატება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ქაფშიის სამრეწველო თევზჭერის უფლების მოსაპოვებლად გამართული აუქციონის შედეგად, რომელიც "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" ახალი კანონის შესაბამისად ჩატარდა, ცენტრალურ ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ 636 520 ლარი შეადგინა. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის სახით კი, ადგილობრივ ბიუჯეტებში 1,5 მილიონი ლარი იქნა გადახდილი, რაც გასულ წელს, ანალოგიურ პერიოდში შეტანილ თანხას დაახლოებით 1,6 მილიონით აღემატება.

პირველად, შავ ზღვაში ქაფშიის თევზჭერის ლიცენზიის მოსაპოვებლად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აუქციონი ჩატარდა. აუქციონში მონაწილეობის მიღება მხოლოდ საქართველოში დარეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეეძლოთ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 11 დეკემბერს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ლიტვაში გაემგზავრება. ვიზიტის მიზანი სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარებაა. აღნიშნული ვიზიტი ნოემბერში ლიტვის სასაზღვრო უწყების დელეგაციის საქართველოში ვიზიტის საპასუხოა. ქართულ მხარეს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ცენტრალური და რეგიონული სამმართველოების ხელმძღვანელები წარმოადგენენ.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ლიტვის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელ პირებთან, ასევე საზღვარზე გასვლა და ლიტველი კოლეგების სამუშაო სპეციფიკის ადგილზე გაცნობა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 10-14 დეკემბერს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ემზარ ფაჟავა და ცესკოს იურისტი სოსო თათარაშვილი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEO) მიწვევით უნგრეთში, კერძოდ, ბუდაპეშტში მიემგზავრებიან. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები შეხვდებიან უნგრეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს, ACEEO-ს ხელმძღვანელობას და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს, რომლებიც საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში უშუალოდ არიან ჩართულნი. ქართული დელეგაციის მთავარი მიზანია გაეცნოს, როგორ ხდება ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათი გამოცდილება გაიზიარონ. ცესკოს წარმომადგენლები თბილისში 15 დეკემბერს დაბრუნდებიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ეროვნული გვარდია ნატო-სთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით (IPAP) გათვალისწინებულ მოთხოვნებს მთლიანად აკმაყოფილებს," - ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა განუცხადა, რომელმაც დღეს თავდაცვის სამინისტროში გამართულ ეროვნული გვარდიის პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღო. პრეზენტაციაზე ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობამ საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეებს ამ სტრუქტურაში განხორციელებული რეფორმები გააცნო. საუბარი შეეხო ეროვნული გვარდიის ფუნქციებს, რეზერვისტთა და რეკრუტების მომზადების პროგრამებს, ასევე სამხედრო მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების საჩხერის სამთო სასწავლო ცენტრი 2006 წლის გაზაფხულზე ამოქმედდება. როგორც შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა განაცხადა, სასწავლო ცენტრის ბაზის ინფრასტრუქტურა მთლიანად მომზადებულია, ამჟამად კი სასწავლო პროგრამები მუშავდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები ნატო-ს წევრ ქვეყნებთან, ძირითადად, საფრანგეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმდინარეობს. საჩხერის სამთო ცენტრში მომზადებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მსუბუქი ქვეითი ბატალიონების სამთო ქვედანაყოფები გაივლიან. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ფინანსთა მინისტრმა პარლამენტში ბეწვის ხიდზე გაიარა

პირველი გვერდიდან

თუმცა, გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: დავით კირკიტაძემ ფინანსთა მინისტრი დაიცვა და მისი იმპიჩმენტის მოთხოვნა არასწორად მიიჩნია.

ალექსიშვილის გადაყენებისთვის საჭირო პროცედურების დაწყების ინიციატივა კი კობა დავითაშვილს ეკუთვნის. "კონსერვატორების" ლიდერის განცხადებით, ფინანსთა მინისტრმა იცრუა და დეპუტატები შეცდომაში შეიყვანა, როდესაც ამტკიცებდა, რომ საარსებო მინიმუმზე - 115 ლარზე - ნაკლები ხელფასი არც ერთ პედაგოგს არა აქვს. მინისტრის ტყუილის საილუსტრაციოდ, კობა დავითაშვილმა დეპუტატებს ერთ-ერთი საშუალო სკოლიდან მოტანილი სახელფასო უწყისები წარუდგინა.

ლექსო ალექსიშვილს, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან ერთად, თავისი მოადგილეც გამოექომაგა. **"თუ რომელიმე სკოლის ბუღალტერმა ხელფასები არასწორად გამოწერა, ამისთვის პასუხი ფინანსთა მინისტრს არ უნდა მოეთხოვოს,"** - "შეჰკადრა" კანონმდებლებს გიორგი გოდაბრელიძემ. მიუხედავად ამისა, საკითხი მაინც დადგა კენჭისყრაზე. თუმცა, ლექსო ალექსიშვილი გადარჩა.

### პარლამენტის "ბარაქიანი მოსავალი"

პარასკევი პარლამენტში "მოსავლის აღების" დღეა - მთელი კვირის განმავლობაში განხილულ საკითხებზე კენჭისყრები ტარდება. გუშინდელი "მოსავალი" საკმაოდ ბარაქიანი გამოდგა: დეპუტატებმა ასამდე კანონპროექტს უყარეს კენჭი და რამდენიმე საკადრო გადაწყვეტილება მიიღეს.

საკანონმდებლო ორგანომ, 137 ხმით 6-ის წინააღმდეგ, პირველი მოსმენით მოიწონა კანონპროექტი "სახელმწიფო პენსიების შესახებ" და მისი თანმდევი ოცდაათამდე დოკუმენტი. მეორე მოსმენით მიღებულია (მომხრე 125, მოწინააღმდეგე, - 20) კანონპროექტი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ". გარდა ამისა, უამრავი ცვლილებები შევიდა საარჩევნო კოდექსში (მეორე მოსმენით), საგადასახადო კოდექსში (პირველი მოსმენით), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მეორე მოსმენით)...



*საკანონმდებლო ორგანომ პირველი მოსმენით მოიწონა კანონპროექტი "სახელმწიფო პენსიების შესახებ".*

გუშინ პარლამენტმა ხუთი ახალი ელჩიც დაამტკიცა: ვასილ (დავით) სიხარულიძე დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში, გიორგი ჯანჯღავა ეგვიპტესა და სირიაში გაამწესეს, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი - სომხეთში, კონსტანტინე ქავთარაძე - პოლონეთში, ხოლო კარლო (კახა) სიხარულიძე - ჩეხეთში.

# როგორია მოსახლეობის ინფორმირებულობა ბიუჯეტის შესახებ?

პირველი გვერდიდან

ეს კიდევ ერთხელ "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების" ცენტრის მიერ ახლახან ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა. როგორია მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონე მათი რაიონების ბიუჯეტების ირგვლივ? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავდა მიზნად ცენტრის მიერ თელავში, ოზურგეთში, ლაგოდეხსა და თბილისის ერთ ნაწილში ჩატარებული კვლევა. **"კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ძალიან დიდმა ნაწილმა საკუთარი რაიონის ბიუჯეტის შესახებ არაფერი იცის. აღმოჩნდა, რომ მათ რიგ შემთხვევაში ამაზე ხელი არ მიუწვდებათ და უფრო ხშირ შემთხვევაში, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ცოდნის სურვილიც არა აქვთ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ცენტრის ექსპერტმა შოთა მურღულიამ.

კითხვაზე - გაქვთ თუ არა ინფორმაცია, თუ რას უნდა მოხმარდეს თქვენი რაიონის ბიუჯეტი - თბილისელთა, უფრო კონკრეტულად, ვარკეთილის მოსახლეობის 80.6 პროცენტი უარყოფითად პასუხობს. 17.8 პროცენტის თქმით, მათ მწირი ინფორმაცია აქვთ. საკუთარი რაიონის ბიუჯეტის შესახებ სრული ინფორმაცია მხოლოდ 1.6 პროცენტს გააჩნია.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ექსპერტებმა ვარკეთილის მოსახლეობას კიდევ ერთი შეკითხვით მიმართეს, კერძოდ, წაუკითხავთ თუ არა რაიონის ბიუჯეტის ხარჯვის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში. როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითი პასუხი ამ შემთხვევაშიც აბსოლუტურმა უმრავლესობამ - 92.8 პროცენტმა გასცა. აღმოჩნდა, რომ ხსენებული ანგარიში წაკითხული მხოლოდ 7.2 პროცენტს ჰქონდა.

კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა მოქალაქეების მხრიდან ბიუჯეტის კონტროლთან დაკავშირებით. კითხვაზე - მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა თქვენი ქალაქის ახლანდელი ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგში - ყველა რესპონდენტმა უარყოფითად უპასუხა.

კიდევ უფრო პასიურია, ამ მხრივ, მოსახლეობა რეგიონებში. კვლევამ აჩვენა, რომ ოზურგეთელების, ლაგოდეხელებისა და თელაველების სამოქალაქო აქტივობა ბიუჯეტის მონიტორინგის პროცესში უმნიშვნელოა. კითხვაზე - მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა თქვენი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯვის გაკონტროლებაში - სამივე რაიონის უმრავლესობამ უარყოფითად უპასუხა. ამ შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებლები ასე გადანაწილდა: თელავი - 99.2, ლაგოდეხი - 99.4, ოზურგეთი - 98.7.

კითხვაზე - იცით თუ არა იმის შესახებ, თუ რას უნდა მოხმარდეს თქვენი ქალაქის ბიუჯეტი - თელავის მოსახლეობის 81.8 პროცენტი უარყოფითად პასუხობს, 1.8 პროცენტი - დადებითად, და 16.3 პროცენტი ამბობს, რომ მხოლოდ მწირ ინფორმაციას ფლობს ამის შესახებ. იგივე კითხვაზე ოზურგეთელების 78.2 პროცენტი ამბობს, რომ ისინი არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ, 17.2 პროცენტს მწირი ინფორმაცია გააჩნია, და მხოლოდ 4.6 პროცენტს აქვს სრული ინფორმაცია, თუ რაში დაიხარჯება მათი რაიონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები. თითქმის იდენტურია ლაგოდეხში ჩატარებული კვლევის შედეგებიც. აქ მხოლოდ 2.5 პროცენტმა იცის, თუ როგორ დაიხარჯება მათი ბიუჯეტის შემოსავლები, 19.1 პროცენტს ამის შესახებ მხოლოდ მწირი ინფორმაცია აქვს, და უმრავლესობამ, 74.8 პროცენტმა, არაფერი იცის.

## უცნობი თავისუფლება

გადაცემის სტუმარია პარლამენტარი კახა კუკავა

# რაში აძლევს სახელმწიფო პარტიებს ფულს?

**კახა კუკავა:** ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში, საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. არადა, არაერთხელ გავცნობივარ პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილ საარჩევნო ფონდის ანგარიშებს. იქ საუბარია მიზერულ თანხებზე. ანუ, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ არჩევნები შავი ფულით ტარდება. ყველა პოლიტიკური პარტია ხელისუფლებაში მოდის არალეგალური ფულით. ეს ძალიან დიდი პრობლემაა. უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნებიც მთლიანად არალეგალური ფულით დაფინანსდა. ევროპის საბჭოს წინადადება იყო, რომ ეს საკითხი რამენაირად დაგვერეგულირებინა. დასავლეთში ამისი წამალი არის დონორობა, შემოწირულობები. იქ ამ ფულს დებენ როგორც მოქალაქეები, ასევე მეწარმეები. საქართველოში ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან მოქალაქეები თეთრებს ითვლიან, რომ დენისა და გაზის გადასახადები გადაიხადონ. რაც შეეხება მეწარმეებს, შევარდნაძის პერიოდში ამისი ჩანასახი იყო, მეწარმეებმა დაიწყეს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების დაფინანსება, მაგრამ 2004 წლის იანვრის შემდეგ, რაც სააკაშვილის ინაუგურაციის მეორე დღიდანვე ფინანსურმა პოლიციამ დაიწყო ამ პოზიტიური პრაქტიკის საფუძვლიანად მიხედვა, ეს ყველაფერი შეწყდა. დღეს საკმარისია, რომელიმე კომპანიამ ოპოზიციური პოლიტიკური პარტია დააფინანსოს, მას მეორე დღესვე მიუკაკუნებენ კარზე, მის ყველა წარმოებას დალუქავენ. ამ გზითაც პოლიტიკური პარტიების დაფინანსება შეუძლებელია. ამიტომ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია იყო და ჩვენც დავეთანხმეთ, რომ პარტიების დაფინანსების ერთადერთი რეალური და ლეგალური გზა არის სახელმწიფო ბიუჯეტი.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** პარტიამ მიღებული თანხა ერთიანად უნდა მიიღოს და შემდეგ წლიდან წლამდე გაანაწილოს? მაგალითად, მილიონ-ნახევარი "ნაციონალურ მოძრაობას" მთელი წლის განმავლობაში უნდა ეყოს?

**კახა კუკავა:** არა, ყოველთვიურად ჩაირიცხება პარტიის ანგარიშზე. იმედი მაქვს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ყოველ წელს ველარ მიიღებს თანხას და მალე გაუყვება "მოქალაქეთა კავშირისა" და "აღორძინების" გზას პოლიტიკურ მოუსავლეთში. თუმცა, ეს კანონი გარდამავალი პერიოდისთვის არის. არ შეიძლება, რომ ჩვენ მილიონები პოლიტიკური პარტიების შესანახად ვხარჯოთ. როცა საქართველოში მოხდება ბიზნეს-გარემოს ლიბერალიზაცია, ეს ტვირთი შემოწირულობებზე უნდა გადავიდეს. ეს არის თანდათანობითი პროცესი. ბიზნესმენს რომელიმე პარტიისათვის, რომელიც მოსწონს, ფულის მიცემის არ უნდა შეეშინდეს.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** დავიჯეროთ, რომ პარტიები მხოლოდ საბიუჯეტო თანხებს დასჯერდებიან და სხვა ფულს არ დახარჯავენ? ანუ, საბიუჯეტო ფულის გარდა, პარტიებს სხვა ფულის ხარჯვა აეკრძალება?

**კახა კუკავა:** მინდა გითხრათ, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" მოაწყო უფასო სასადილოები, შაქრით და ფქვილით დატვირთული ტომრები გაგზავნა სვანეთში და ა.შ. ძალიან მაინტერესებს, ეს ყველაფერი თუ აისახება "ნაციონალური მოძარობის" იმ ანგარიშში, რომელსაც პირველ თებერვალს იუსტიციის სამინისტროს წარუდგენს. ეს არის ერთადერთი ფორმა, რის შემდეგაც შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ პოლიტიკური პარტიები შავ ფულს არ ხარჯავენ. ჩვენს პარტიას ფული არ აქვს და ამიტომ ბოდიშს ვუხდით მოსახლეობას, რომ ვერ დავეხმარეთ. პოლიტიკურ პარტიას დღეს საქართველოში ფული არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ დავაბალანსებთ "ნაციონალური მოძრაობის" ყოველწლიურ საფინანსო დეკლარაციას. რა შემოსავლებით აკეთებენ ასეთ ძვირადღირებულ კამპანიას.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ე.ი პარტიას სხვა ფულის გამოყენების უფლება არ უნდა ჰქონდეს...

**კახა კუკავა:** არა, შემოწირულობები ნებადართულია, ოღონდ, ეს აღრიცხული უნდა იყოს პარტიის საფინანსო დეკლარაციაში. ერთადერთი პარტია, ვისაც ეს საკითხი მოწესრიგებული აქვს, "ახალი მემარჯვენეებია". ეს არის სპეციფიური პარტია, აქ ბევრია ბიზნესიდან მოსული და ისინი საკუთარ პარტიას ფულს თვითონ უხდიან. ამიტომ აქ დამალული არაფერია. მაგრამ "ნაციონალური მოძრაობის" ანგარიშზე ლეგალურად შესული თანხებიც კი ძალიან საინტერესოდ არის განაწილებული. შედგენილია შეწირულობის სიები, სადაც ჩამოწერილია უცნობი სახელებისა და გვარების სია და ყველას აქვს მიწერილი 4 ათასი ლარი. ანუ, ყველას ერთი და იგივე ოდენობის შემოწირულობის სურვილი გაუჩნდა.

უცხოეთი

# თეირანს ისრაელის ევროპაში "გადატანა" სურს

ნანა ნასყიდაშვილი

ირანის პრეზიდენტის მოჰამედ აჰმადინეჯადის სკანდალურმა განცხადებამ, ისრაელის ევროპაში "გადატანის" თაობაზე, პოლიტიკოსთა პროტესტი მთელ მსოფლიოში გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ ირანის პრეზიდენტმა გერმანიასა და ავსტრიას, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელთა მასობრივ განადგურებაში დამნაშავე ქვეყნებს, გარკვეული კონპენსაციის სახით ისრაელისთვის საკუთარი ტერიტორიის ნაწილის დათმობა "შესთავაზა".

**"თქვენ მიერ ებრაელთა დევნის საზღაური პალესტინამ რატომ უნდა გაიღოს? დღეისთვის მუსლიმებსა და ებრაელებს შორის არსებული პრობლემა იმ შემთხვევაში მოგვარდება, თუ გერმანია და ავსტრია ისრაელს მათ საკუთრებაში მყოფი ევროპული მიწების ორ მესამედს დაუთმობს,"** - აღნიშნა ირანის პრეზიდენტმა.

გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს ირანის ლიდერის წინადადება ყოვლად მიუღებლად მიაჩნია. **"მე, როგორც გერმანიის კანცლერი და ისტორიის წინაშე პასუხისმგებელი პირი, ირანის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას მკაცრად ვაკრიტიკებ. ოფიციალური ბერლინის დამოკიდებულება ისრაელის მიმართ, მსოფლიოსთვის კარგად არის ცნობილი. გერმანია მზადაა, გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ ისრაელის არსებობას არაფერი დაემუქროს,"** - აღნიშნა ანგელა მერკელმა საფრანგეთის პრეზიდენტთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ.

ნიშანდობლივია, რომ აჰმადინეჯადის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, ჟაკ შირაკი თავისი გერმანელი კოლეგის შეხედულებებს იზიარებს. პოლიტიკოსის თქმით, ირანის პრეზიდენტის წინადადებას ევროპა ერთსულოვნად აკრიტიკებს.

ირანის ლიდერის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე განსაკუთრებით მწვავე რეაქცია თავად ისრაელს ჰქონდა. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის სილვან შალომის თქმით, ირანის პრეზიდენტის მიერ დაფიქსირებულმა პოზიციამ მთელი მსოფლიო უნდა გამოაფხიზლოს. **"მოჰამედ აჰმადინეჯადის უცნაური და ექსტრემისტული წინადადება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, თუ ვისთან გვაქვს საქმე. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ირანის მიერ ატომური ბომბის შექმნის პროცესი შევაჩეროთ. ქვეყანა, რომელიც ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგია, მის გასანადგურებლად ყოველთვის მზად იქნება,"** - აღნიშნა სილვან შალომმა.



*მოჰამედ აჰმადინეჯადმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა.*

ახლო აღმოსავლეთის საკითხებში რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ალექსანდრ კალუგინის თქმით, ირანის ლიდერის პოზიცია საერთაშორისო საზოგადოების მიერ ისრაელის სუვერენულ სახელმწიფოდ აღქმის პრინციპებს მკვეთრად უპირისპირდება. **"მართალია, ისრაელს პალესტინის ავტონომიასთან უთანხმოება აქვს, მაგრამ მხარეებს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების პროცესი გარკვეულწილად მიმდინარეობს. მომავალში ისრაელმა და პალესტინის ავტონომიამ ერთმანეთის გვერდიგვერდ მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში უნდა განაგრძონ თანაარსებობა,"** - აღნიშნა ალექსანდრ კალუგინმა.

შეგახსენებთ, რომ ირანის ლიდერი თავისი გამოსვლების გამო საერთაშორისო სკანდალში ოქტომბერშიც გაეხვა. მაშინ თეირანში გამართულ კონფერენციაზე, სახელწოდებით "მსოფლიო სიონიზმის გარეშე", მოჰამედ აჰმადინეჯადმა ხმაურიანი განცხადება გააკეთა, რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა პოლიტიკოსთა პროტესტი გამოიწვია. **"ალაჰის წყალობით, მსოფლიო მალე ისრაელისა და აშშ-ს გარეშე იცხოვრებს, ხოლო დღეისთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული შეარაღებული დაპირისპირება გარდაუვალი ომის ნაწილს წარმოადგენს. წლების განმავლობაში მიმდინარე საომარი მოქმედებები პალესტინის სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდება,"** - აღნიშნა ირანის ლიდერმა.

იმის მიუხედავად, რომ აჰმადინეჯადის მაშინდელ განცხადებებს მკაცრი გამოხმაურება გაერო-ს, ევროპის, აშშ-ს, ისრაელისა და რუსეთის პოლიტიკურ წრეებში მოჰყვა, ირანმა მისი მისამართით გამოთქმული ყველანაირი კრიტიკა უარყო. მოგვიანებით კი, ისრაელში პალესტინელ ექსტრემისტთა მიერ მოწყობილ ტერაქტებზე საუბრისას, ირანის ლიდერმა "იმედი" გამოთქვა, რომ ისრაელს, როგორც სამარცხვინო ლაქას, ძალადობის ახალი ტალღა ისლამური მსოფლიოს სახიდან მალე წაშლის.

# ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობა შროიდერის მეთვალყურეობით დაიწყო

რუსეთის ვოლოგდის ოლქში გუშინ "ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის" მშენებლობა დაიწყო. ოფიციალურ ცერემონიაში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხაილ ფრადკოვმა, კონცერნ "გაზპრომის" ხელმძღვანელმა ალექსი მილერმა და გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენი ბალტიის ზღვის ფსკერზე გაივლის და რუსულ ბუნებრივ აირს სატრანზიტო ქვეყნების - პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების გვერდის ავლით მიაწვდის გერმანიას, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთს. გეგმის მიხედვით, გაზსადენის ექსპლუატაცია 2010 წლიდან დაიწყება.

ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობის შესახებ შეთანხმებას რუსეთის და გერმანიის ლიდერებმა სექტემბერში მოაწერეს ხელი. მშენებლობისათვის შეიქმნა ერთობლივი გერმანულ-რუსული კომპანია "North European Gaz Pipeline Company" (NEGPC), რომლის დირექტორთა საბჭოს გერმანიის ექს-კანცლერი გერჰარდ შროიდერი ჩაუდგა სათავეში.

NEGPC-ის კაპიტალის 51 პროცენტი "გაზპრომს" ეკუთვნის, კონცერნის გერმანელ პარტნიორებს "BASF"-ს და "E.ON"-ს შესაბამისად 24,5-24,5 პროცენტი.

ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობის გეგმამ ვარშავაში და კიევში უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ რუსული გაზის ექსპორტი ევროპის ქვეყნებში ამჟამად უკრაინის და პოლონეთის ტერიტორიის გავლით ხორციელდება და ამის სანაცვლოდ ეს ორი სახელმწიფო ბუნებრივ აირს საბაზრო ფასზე ბევრად უფრო იაფად იღებს.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობაში რუსეთის და გერმანიის თანამშრომლობა პოლონეთს და ბალტიის ქვეყნებს მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში მოსკოვის და ბერლინის ურთიერთობას აგონებს.

ნოემბერში ბალტიის ასამბლეის სხდომაზე ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და პოლონეთის კანონმდებლებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც რუსეთისგან და გერმანიისგან მოითხოვეს, გაზსადენის მშენებლობის პროექტის რეალიზაციისას მათი ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესები გაითვალისწინონ.

*ინტერპრესნიუსი*

# "მსოფლიო ფასებზე" გადასვლა რუსულად და უკრაინულად

პირველი გვერდიდან

პუტინმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ამიერიდან (მომავალი წლიდან) კიევი რუსულ გაზს მხოლოდ "მსოფლიო" ფასად შეიძენს. რუსეთის პრეზიდენტს არგუმენტებიც საკმაოდ "მყარი" მოჰყავდა ამ ნაბიჯის გასამართლებლად. პუტინი ხაზს უსვამდა, რომ უკრაინას საკუთარი გაზით სრულად შეუძლია მოსახლეობის მოხმარების დაკმაყოფილება. "ჩვენ სწორედ ამ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ," - აცხადებდა პიუტინი. მას თუ დავუჯერებთ, უკრაინას რუსული გაზი წარმოებისთვის სჭირდება (ანუ მოგებას ნახულობს), მაშინ როცა "გაზპრომი" უკრაინის ბაზარზე 4,6 მლრდ აშშ დოლარს კარგავს.

სწორედ ამიტომ, რუსეთს სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლია 160 დოლარი მოსთხოვოს "ნარინჯისფერებს" ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი არიის საფასურად - მით უმეტეს, რომ მათ (უკრაინელებმა) უზარმაზარი შემოსავალი მიიღეს ხელახალი პრივატიზაციისა და დასავლელი პარტნიორებისგან ბოძებული კრედიტ/გრანტების სახით. პუტინის გამოსვლას ძნელად თუ დაარქმევდი დიპლომატიურს - რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინას რუსეთის ხარჯზე ცხოვრებაც კი დააბრალა, რისი გაგრძელებაც კრემლს წარმოუდგენლად მიაჩნია.

ბუნებრივია, ამის შემდეგ, ლოგიკური იყო კიევის მიერ რუსული სამხედრო ფლოტისთვის არენდის გაძვირების საკითხის წინ წამოწევა. ჯერჯერობით ეს საკითხი ოფიციალურად არ დამდგარა და, ძნელი სათქმელია, უახლოეს მომავალში დადგება თუ არა დღის წესრიგში.

რასაკვირველია, უკრაინა გაზის თემასთან რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზების დაკავშირებით ცდილობს, მოსკოვთან "ვაჭრობისას" მომგებიანი პოზიცია შეიქმნას. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ რუსეთ-უკრაინის ურთიერთშანტაჟი არაფრით აძლევს ხელს ევროპას, როგორც უკრაინაზე გამავალი ბუნებრივი აირის ძირითად მომხმარებელს.

სხვათა შორის, საინტერესო იყო რუსეთის პრემიერ-მინისტრის მიხაილ ფრადკოვის განცხადება, როემლიც მან ბრიუსელიდან დაბრუნების შემდეგ გააკეთა. ფრადკოვის თქმით, ევროპელი პარტნიორები მოვლენების განვითარებას დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს. **"ჩვენ ვიგრძენით, რომ ევროპელები ეძებენ საკმარისად დამაჯერებელ არგუმენტებს, რათა ამ მოლაპარაკებებმა (რუსეთ-უკრაინას შორის) საერთო აზრამდე მიგვიყვანოს და უკრაინის ტეროტორიის გავლით ბუნებრივი აირის თავისუფალი ტრანზიტის უზრუნველყოფით დასრულდეს,"** - ამბობს ფრადკოვი.

# ტერორისტების კიდევ ერთი მსხვერპლი

ერაყულმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ "ერაყის ისლამურმა არმიამ" გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მის მიერ მძევლად აყვანილი ამერიკელი სპეციალისტი სიკვდილით დასაჯა.

ექსტრემისტები გატაცებულისთვის სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ, ერაყის ციხეებიდან ყველა პატიმრის გათავისუფლებას მოითხოვდნენ. საამისოდ, მათ ვადა შაბათამდეც გადაწიეს, მაგრამ მუქარა სისრულეში საბოლოო ვადის ამოწურვამდე მოიყვანეს. ოფიციალური ვაშინგტონის განცხადებით კი, ერაყში აშშ-ს მოქალაქის გატაცებისა და დაღუპვის შესახებ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ფლობს. **ინტერპრესნიუსი**

# ბალეტმაისტერ თამაზ ვაშაკიძეზე ძებნა გამოცხადდა

*ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ყოფილი დირექტორი თამაზ ვაშაკიძე ძებნილად გამოცხადდა.*

თბილისის საქალაქო სასამართლომ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელს თამაზ ვაშაკიძეს დღეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ეს გადაწყვეტილება სასამართლომ ბრალდებულის დაუსწრებლად გამოიტანა და, ვიდრე პოლიცია ვაშაკიძეს დააკავებდეს, იგი ძებნილის სტატუსით სარგებლობს.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ვაშაკიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა გირაოს გადაუხდელობის გამო შეუფარდეს.

თბილისის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღძრულია ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლის ხელმძღვანელ პირთა მიერ საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად გახარჯვის ფაქტზე. ვაშაკიძე თანხების არამიზნობრივად განკარგვაშია ბრალდებული.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის დროზე ვაშაკიძეს, აღმკვეთი ღონისძიების სახით, 100 ათასი ლარის ოდენობის გირაოს გადახდა შეუფარდა. ვაშაკიძემ პროცესზე თავად მოითხოვა სამკვირიანი ვადა გირაოს თანხის დაფარვისთვის და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

გირაოს თანხის გადახდის კანონიერი ვადა 7 დეკემბერს ამოიწურა. ასეთ შემთხვევაში, კანონის თანახმად, ბრალდების მხარეს უფლებამოსილება აქვს, ბრალდებულის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების დამძიმების შუამდგომლობით სასამართლოს ხელახლა მიმართოს, რაც განხორციელა კიდეც.

თავად ბრალდებული მის წინააღმდეგ საქმის აღძვრის შემდეგ აცხადებდა, რომ კონკრეტულ პირთა და უწყებათა, კერძოდ, ნინო ანანიაშვილისა და კულტურის სამინისტროს ინტერესებს ეწირება.

ამ ბრალდებების საპასუხოდ გუშინ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სპეციალური პრესკონფერენცია მოეწყო. პრესკონფერენციაზე ქორეოგრაფიული სასაწავლებლის ამჟამინდელმა დირექტორმა ზვიად ბაქრაძემ განაცხადა, რომ მან სასაწავლებელში არაერთი ფინანსური დარღვევა აღმოაჩინა და მასალები პროკურატურას გადასცა.

**"ვაშაკიძის გათავისუფლების შემდეგ სასწავლებელში აღმოჩენილ იქნა დოკუმენტაცია, სადაც პედაგოგებს პრემია და ხელფასი აქვთ გამოწერილი, თუმცა ხელმოწერები არ არსებობს"**, - აღნიშნა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, აბსურდულია ვაშაკიძის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ მის დაპატიმრებაში ქორეოგრაფიული სასწავლებლის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი პირადად არის დაინტერესებული.

**"ჩვენი მხრიდან არც ერთი შემოქმედის დევნა არ ხორციელდება - პირიქით, ვცდილობთ, შევუქმნათ მაქსიმალური პირობები, რომ მათ საკუთარი ნიჭის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ"**, - აღნიშნა გუშინდელ პრესკონფერენციაზე კულტურის მინისტრის მოადგილემ თათა ქვარიანმა.

მისივე განცხადებით, 2004 წლის ზაფხულში სამინისტროში ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგებისა და მშობლების უამრავი საჩივარი შევიდა, რომლებიც თამაზ ვაშაკიძის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. კულტურის სამინისტრომ საკითხი შეისწავლა და თამაზ ვაშაკიძეს ადმინისტრაციული თანამდებობიდან წასვლა, თუმცა სასწავლებელში ქორეოგრაფად დარჩენა შესათავაზა, ვაშაკიძემ კი დარჩენაზე უარი განაცხადა.

**"აღსანიშნავია ისიც, რომ ვაშაკიძე ვერ უძღვებოდა ადმინისტრაციულ მუშაობას. მან მძიმე მორალური პირობები შეუქმნა თანამშრომლებს და არც ბავშვების მიმართ ჰქონდა სწორი დამოკიდებულება"**, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

თვით თამაზ ვაშაკიძე ჯერჯერობით საჯარო განცხადებების გაკეთებისგან თავს იკავებს, მის ადვოკატს სასამართლოს გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად 48-საათიანი ვადა აქვს.

პროკურატურაში კი აცხადებენ, რომ, თუ თამაზ ვაშაკიძე გამოჩნდება და თანხას გადაიხდის, მას არ დააპატიმრებენ.

*24 საათი*

# ხელისუფლებას კოპაძის მოხსნის ეშინია

პირველი გვერდიდან

**"ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებელი იყვნენ ბადრაგირების სამსახურის თანამშრომლები - ყარაულის უფროსი ჭანკოტაძე, გოგებაშვილი და ცქიტიშვილი. აღნიშნული პირები სისხლის სამართლის წესით უმკაცრესად დაისჯებიან. რაც შეეხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვა პასუხისმგებელ პირებს, მათ საკითხს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია დეტალურად შეისწავლის და მკაცრად იმსჯელებს საკადრო გადაწყვეტილებებზე,"** - აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე.

მსგავსი დაპირებები არა ერთხელ მოგვისმენია. იუსტიციის მინისტრმა ასეთი პირობა სახალხო დამცველსაც მისცა, მას შემდეგ, რაც სოზარ სუბარმა პარლამენტს ანგარიში წარუდგინა, პენიტენციურ სისტემაში არსებული კორუფციული გარიგებების შესახებ ისაუბრა და შოთა კოპაძის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა; კოტე კემულარიამ პირობა იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოსაც მისცა, როცა საბჭომ მას ანგარიში ჩააბარა, ციხეებში არსებულ მაფიურ კლანებზე და იქ "ქურდული სამყაროს" მმართველობაზე ისაუბრა; პირობა, რომ მოკვლეულ ფაქტებს შეისწავლიდნენ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმ პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც ქურდებთან არიან ალიანსში და ციხეში არსებულ სხვა კორუფციულ სიტუაციებსაც აკონტროლებენ, პასუხისგებაში მისცემდნენ, კოტე კემულარიამ ომბუდსმენის მოადგილეს დათა ახალაიასაც მისცა. თუმცა, მინისტრის პირობებს შედეგი არასდროს მოჰყოლია.

მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრმა მონიტორინგის საბჭოსა და სახალხო დამცველის ოფისის რეკომენდაციები და მათ მიერ პენიტენციურ სისტემაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები არ გაითვალისწინა, ანუ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე თანამდებობიდან არ გაათავისუფლა, მონიტორინგის საბჭომ პრეზიდენტს მიმართა. მოთხოვნა უცვლელი გახლდათ - შოთა კოპაძის მოხსნა და მისი პასუხისგებაში მიცემა. არც ამ მოთხოვნას მოჰყოლია რეაქცია და რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის, მომხდარის შესახებ უცხოური პრესაც წერს - "სოდი"-ს თანამშრომლებმა ციხიდან თავისუფლად გამოსულ, აბანოში მყოფ პატიმარ ქურდს "ჩაავლეს".

**"შოთა კოპაძის მითითებისა და უშუალო მეთვალყურეობის გარეშე, ციხის ვერც ერთი კარი ვერ გაიღება და ვერ დაიხურება"**, - მომხდართან დაკავშირებით ასეთი განცხადება გააკეთა იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარემ თეა თუთბერიძემ, რომლის თქმითაც, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა მხოლოდ შემსრულებლების - ბადრაგების დონეზე არ უნდა მოხდეს. საბჭო კვლავ აყენებს იუსტიციის მინისტრის პოლიტიკური და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს.

მონიტორინგის საბჭოს მონაცემებით, დავით ქურასბედიანის სახელი საპატიმროებში მომხდარ ყველა მკვლელობაში ფიგურირებს, იგი უშუალოდ აკონტროლებს "კანონიერი ქურდების" გადაწყვეტილებებს და მათ მიერ გამოტანილ "განაჩენებს".

მონიტორინგის საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ "წრიპას" გასეირნების ამბავი, ციხიდან პატიმრის გასვლის პირველი შემთხვევა არ არის. **"პატიმრები ციხეებს სხვა დროსაც ხშირად ტოვებენ და შემდეგ უკან ბრუნდებიან, ეს ტრადიციაა,"** - ასეთია საბჭოს წევრთა ინფორმაცია. თეა თუთბერიძის თქმით, იგი თვითმხილველია ფაქტისა, როცა ვატო ყიფიანი ორთაჭალის საპყრობილის ადმინისტრაციის ფოიეში თავისუფლად დასეირნობდა. **"საინტერესოა, როდის მიიღებს პრეზიდენტი გადაწყვეტილებას, მაშინ, როცა შოთა კოპაძე და კანონიერი ქურდები მას სადმე ერთად შეხვდებიან, თუ მაშინ, როცა "წრიპა" კანცელარიის მე-11 სართულს ეწვევა?"** - კითხულობს თეა თუთბერიძე.



*კოპაძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი კვლავ დღის წესრიგშია.*

მონიტორინგის საბჭოს წევრების მიერ გაკეთებული განცხადება დაადასტურა სახალხო დამცველის მოადგილემ ბაჩო ახალაიამაც, რომელმაც განაცხადა, რომ საპყრობილეებიდან გარკვეული კატეგორიის პატიმრების მცირე დროით გაყვანა და, შემდეგ, მათი უკან დაბრუნება ჩვეულებრივი მოვლენაა.

**"ბოლო პერიოდის განმავლობაში, ციხეებიდან პატიმრების გაქცევის მცდელობები სწორედ იმიტომ არ არსებობს, რომ ვისაც უნდა ქალაქში გასვლა, ამას ისედაც ახერხებს,"** - აცხადებს ბაჩო ახალაია, რომლის თქმითაც, პენიტენციურ სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა დიდი ხანია, ინფორმირებულია.

სახალხო დამცველის ოფისის მონაცემებით, დათო ქურასბედიანი საპატიმროებში ე.წ. ქურდული განაჩენების აღსრულებას მეთვალყურეობდა. ბაჩო ახალაიას თქმით, დაახლოებით თვენახევრის წინ, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კოკი ვაშაკიძის (მას ციხეში კონფლიქტი მოუვიდა "კანონიერ ქურდთან") მკვლელობამდე ორი დღით ადრე, "წრიპა" ამ დაწესებულებაში გადაიყვანეს. **"ის, რაც ქურასბედიანთან დაკავშირებით მოხდა, შოთა კოპაძის ქმედებების დოკუმენტური დადასტურებაა,"** - განაცხადა ბაჩო ახალაიამ, რომლის თქმითაც, სახალხო დამცველის ოფისი შოთა კოპაძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს კვლავ დღის წესრიგში აყენებს.

თუ რატომ ვერ ელევა ხელისუფლება შოთა კოპაძეს, ამაზე არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელს, მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარეს თეა თუთბერიძეს ასეთი პასუხი აქვს: **"არსებობს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება არ ათავისუფლებს კოპაძეს, რადგან ციხეში დესტაბილიზაციის მოწყობის ეშინია. ასეთი აზრისაა პრეზიდენტი. ცნობილია, როგორ აწყობდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნები ციხიდან მასიურ გაქცევებს, ხელოვნურად ქმნიდნენ დესტაბილიზაციის საშიშროებას. ასე მოიქცა კოპაძე, როცა ის რამდენჯერმე გაუშვეს თანამდებობიდან. თუმცა, თუ სახელმწიფო ხარ, თუ ხელისუფლება გქვია და ქვეყნის მართვაზე პრეტენზია გაგაჩნია, სამარცხვინოა, გეშინოდეს კოპაძის მოხსნის, იმიტომ, რომ მან დესტაბილიზაცია არ მოგიწყოს. არადა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ქვეყანაში სიტუაცია იმართება ციხიდან, დანაშაულის უმეტესობა ციხიდანაა მართული, ციხეში სიტუაციას განაგებენ კანონიერი ქურდები და არაფერი შეიცვლება მანადმე, სანამ იქნებიან კოპაძე და მისი ხელქვეითები. სანამ არ მოხდება სისტემური ცვლილება, პენიტენციურ სისტემას არაფერი ეშველება. მისი დალაგება კი, პირველ რიგში, შოთა კოპაძისა და მისნაირების იზოლაციით უნდა დაიწყოს, შოთა კოპაძე მის მეგობრებს უნდა მიუსვან გვერდით და მათი იზოლაცია ერთად უნდა მოხდეს,"** - ასეთი აზრისა გახლავთ თეა თუთბერიძე, რომელსაც მაინც სჯერა, რომ საჯაროდ გახმაურებული უპრეცედენტო ფაქტის შემდეგ ხელისუფლება "კოპაძის შიშს" დაძლევს და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

# ასლან აბაშიძე კვლავაც ძებნილია

*აჭარის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის ადვოკატების სარჩელი და ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.*

როგორც ცნობილია, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, 5 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ ლიდერზე ძებნა გამოცხადდა. აბაშიძეს ბრალი 98 მილიონი ლარის მითვისებაში, ტერორისტული აქტების მოწყობაში, უკანონო დაპატიმრებებსა და სხვა დანაშაულებებში ედება.

აბაშიძის დაცვის მხარე აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა აბაშიძეს ხელშეუხებლობის გარანტია საჯაროდ მისცა, მისი დაპატიმრების საკითხი დღის წესრიგში არ უნდა დამდგარიყო.

ამასთანავე, ასლან აბაშიძის ერთ-ერთი ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განცხადებით, აჭარის ყოფილი მეთაურის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე წელიწადნახევრის წინ აღიძრა. ამ ხნის განმავლობაში აბაშიძე გამოძიებას არ დამალვია და არც გამოძიებას უცდია მასთან კონტაქტის დამყარება. ამდენად, მისი თქმით, დაუსაბუთებელია მოტივი, რომლის თანახმადაც, აბაშიძის დაპატიმრებაზე სანქცია წელიწადნახევრის შემდეგ გაიცა.

ასლან აბაშიძის მეორე ადვოკატის შალვა შავგულიძის თქმით კი, დაცვის მხარემ, გადაწყვეტილება გარკვეული მოსაზრებით გაასაჩივრა:

**"ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ გააუქმებს, მაგრამ საჭიროა, რომ საქართველოში სასამართლოს ყველა ინსტანცია გავიაროთ. თუ ჩვენი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მზად ვართ, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მივმართოთ"**, - აცხადებს შავგულიძე. შავგულიძისვე თქმით, ის ესაუბრა ასლან აბაშიძეს ამ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. ადვოკატი ამბობს, რომ ასლან აბაშიძე საქმის კურსშია და ამჟამად იგი რუსეთში იმყოფება და არა ავსტრიაში.

შალვა შავგულიძე აცხადებს, რომ მას უკვე მზად აქვს განცხადება და ის საჩივრით ევროპის სასამართლოს მიმართავს.

*24 საათი*

## მოკლედ

### პატიმარს პროტესტის ნიშნად პირი აქვს ამოკერილი

რუსთავის N2 საპყრობილეში მყოფ პატიმარს რამაზ ჭუნაშვილს პროტესტის ნიშნად პირი აქვს ამოკერილი. არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები-ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის განცხადებით, ჭუნაშვილმა მშრალი შიმშილობაც გამოაცხადა. **"მსჯავრდებული დაკავებულია ძროხის ქურდობის ფაქტზე, მას 12 წელი აქვს მისჯილი; უკვე მოხდილი აქვს 10 წელი, თუმცა სასამართლომ მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა"**, - განაცხადა კაკაბაძემ. მისი თქმით, ჭუნაშვილი კანონით მინიჭებული უფლების დაცვას მოითხოვს. კაკაბაძის განცხადებით, შესაძლოა რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში საკუთარი საქმეების გადახედვის მოთხოვნით, 18-მა პატიმარმა დაიწყოს შიმშილობა. **ინტერპრესნიუსი**

### სპეცოპერაციების შედეგად 32 ადამიანი დაიღუპა

არასამთავრობო სექტორის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2005 წელს ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად 32 ადამიანი დაიღუპა და 33 დაშავდა. გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატებმა - მანანა კობახიძემ, ქეთევან ქამაშიძემ და კახაბერ კახაბერმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ორგანიზაციის ინფორმაციით, 10 დეკემბერს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება და ეს სტატისტიკა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის გამაფრთხილებელი მესიჯია. როგორც "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრები აცხადებენ, სტატისტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით შეიქმნა. სპეცოპერაციების შედეგად დაღუპულ 32 პირიდან 16 პოლიციელია. **"სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სისტემატური ხასიათი მიეცა დაუგეგმავი სპეცოპერაციების ჩატარებას, რომლებსაც ადამიანთა სიცოცხლე ეწირება. უკანასკნელ ერთ წელიწადში ხელისუფლების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციებისას დაირღვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რომლითაც დაუშვებელია ეჭვმიტანილის არათუ ლიკვიდაცია, არამედ ძალის გამოყენებაც, თუ არ არსებობს განსაკუთრებული აუცილებლობა"**, - განმარტავენ ადვოკატები. ორგანიზაციაში ვარაუდობენ, რომ საქართველოში უკიდურესი აუცილებლობის ნიღბით გარკვეული პირების ლიკვიდაცია სპეციალურად ხდება. ადვოკატები სტატისტიკას საგანგაშოს უწოდებენ და ასკვნიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, თითქმის, არც ერთი სპეცოპერაციის დროს არ შეეცადა მსხვერპლის თავიდან აცილებას. **ინტერპრესნიუსი**

### არასრულწლოვანთა პირველ საპყრობილეში ადამიანის უფლებების დაცვის დღეს აღნიშნავენ

10 დეკემბერი ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ თარიღის აღსანიშნავად ბავშვთა უფლებების დამცველები, მედიკოსები და ფსიქოლოგები იუსტიციის სამინისტროს სასჯელარსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა პირველ საპყრობილეში გუშინ შევიდნენ. სტუმრებმა 89 არასრულწლოვანს, რომლებიც სასამართლოების გადაწყვეტილებების მოლოდინში არიან, საჩუქრად გადასცეს თბილისის მოსწავლეთა მიერ მომზადებული ნობათები. ღონისძიება პროექტ "არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრირების რეფორმის ხელშეწყობის" ფარგლებში დღეს დაიწყო და დღეს - 10 დეკემბერს დასრულდება. მას მულტიდისციპლინური კომისია ახორციელებს. როგორც ამ პროექტის ერთ-ერთმა კოორდინატორმა, თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა, ბელა სარიამ განაცხადა, ორი დღის განმავლობაში კომისიის წევრები შეისწავლიან 89 არასრულწლოვანის ფიზიკურ და ფსიქო-მენტალური განვითარების დონეს. **"ის მძიმე რეალობა, რომელშიც ამ არასრულწლოვნებს უწევთ ყოფნა, უდავოდ უარყოფითად აისახება მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე. დროული გამოკვლევა და დიაგნოსტიკა ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას"**, - აცხადებს ბელა სარია. მისი თქმით, მიმდინარეობს ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული გეგმის შემუშავება. სარია იმედოვნებს, რომ ბავშვთა უფლებები ამ დოკუმენტის ერთ-ერთი არსებითი ნაწილი იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სამართალდამცველებმა თაღლითობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა გუშინ გორში მცხოვრები მარინა მაჭავარიანი დააკავეს. მაჭავარიანი თაღლითობაშია ეჭვმიტანილი. მან გორში მცხოვრები მაისურაძეების ოჯახს 800 აშშ დოლარი გამოსძალა. მაჭავარიანის მტკიცებით, აღნიშნული თანხა მას შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის პროკურორ ალექსი მაზმიშვილისთვის უნდა გადაეცა, მაისურაძეების შვილისთვის სასჯელის ზომის შემსუბუქების სანაცვლოდ. მარინა მაჭავარიანი დუმილის უფლებას იტოვებს და არანაირ კომენტარს არ აკეთებს. **ინტერპრესნიუსი**

### 55 ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ამერიკის ელჩისგან

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი თბილისში ამერიკის საელჩოს ეწვია და სრულუფლებიან ელჩს ჯონ ტეფტს შეხვდა. ჯონ ტეფტმა ქართველ სამართალდამცავებს ტყვიაგაუმტარი 55 ჟილეტი გადასცა. როგორც აშშ-ს საელჩოში აცხადებენ, ეს აღჭურვილობა უდიდეს როლს შეასრულებს იმ პოლიციელების პირადი უსაფრთხოების დაცვაში, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სისხლის სამართლის დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული საჩუქარი შეიძინა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ბიურომ. ამავე ტიპის უმაღლესი ხარისხის ჟილეტებს ამერიკელი სამართალდამცავები იყენებენ. დღევანდელი ღონისძიების ჩათვლით, აშშ-მ საქართველოს 12,5 მლნ დოლარის ღირებულების დახმარება გაუწია. **"ჯავშანჟილეტები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დახმარებისა, რომელსაც საქართველოს მიმართ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ახორციელებს"**, - განაცხადეს საელჩოში. **ჯი-ეიჩ-ენი**

**ს.ს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს კონკურსს აეროპორტის ტერიტორიის აღნაგობის უფლებით გადასაცემი მიწის ფართობზე საუკეთესო წინადადებების გამოსავლენად:**

| № | ადგილმდებარეობა | დანიშნულება | ფართის ოდენობა, კვ.მ. | მინიმალური ფასი 1მ²-ზე წელიწადში, დღგ-ს გარეშე | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ფართობი | აღნაგობის უფლებით საავიაციო კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად | 4,5 ჰა | 0,24 ევრო წელიწადში | საწარმოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საავიაციო კომერციულ საქმიანობას |

შენიშვნა: გადასახადში არ შედის კავშირგაბმულობით, ელექტროენერგიით, წლით სარგებლობისა და სხვა ღირებულება.

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი მიმართულების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართის დანიშნულებისამებრ გამოძენებას.
2. აღნაგობის პერიოდი -- სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში.
3. საკონკურსო პერიოდი -- საკონკურსო პირობების გამოქვეყნებიდან ერთი თვე.
4. წინადადებები მიიღება დალუქულ კონვერტებში, აეროპორტის კანცელარიაში გატარებული შემოსული ნომრით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საწარმო ვალდებულია წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ- სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.
- საწარმოს პირველი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
- ლიცენზია ან სერტიფიკატი შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე, თუ საქმიანობის სახეობა ექვემდებარება სერტიფიცირებას ან ლიცენზირებას.
- ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელდეპო");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "ნოვამედიის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ზოგჯერ ნგრევა მშენებლობის ტოლფასია





ქართული საზოგადოების ზედმეტად პოლიტიზირების თაობაზე არაერთხელ თქმულა, დაწერილა. მის მიერ თითოეული გაკეთებულის ან არგაკეთებულის შეფასება მხოლოდ პოლიტიკური პრიზმიდან ხდება. არადა, ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი ისეთი რამ კეთდება ან, თუ გნებავთ, არ კეთდება, რაც არანაირ პოლიტიკურ შეფასებას არ საჭიროებს, სრულიად ყოფითი ქმედებაა და არანაირ კამათსაც არ უნდა იწვევდეს.

თბილისის შუაგულში, ჭავჭავაძის გამზირზე წლების განმავლობაში უფუნქციო და ბოლო თვეებში სათამაშო სახლად ამუშავებული რაღაც გაუგებარი ლურჯი ნაგებობის დანგრევასაც კი თბილისური საზოგადოება არაერთმნიშვნელოვნად შეხვდა. თითოეული ცალკეული პიროვნება ამ ფაქტს თავისი სუბიექტური დამოკიდებულებიდან, სიმპათიაარასიმპათიიდან, ხელისუფლებისადმი მხარდამჭერ-ოპოზიციური კუთხიდან აფასებდა. საზოგადოების ერთი ნაწილი და მათ შორის მეც, კორუფციის, უკანონობისა და არაპროფესიონალიზმის ამ შენობა-სიმბოლოს უაპელაციო დანგრევას ყოველგვარი სასამართლოების გარეშეც ითხოვდა. მე პირადად არაერთ წერილში აღმინიშნავს, რომ თუნდაც თავის დროზე, ასე ვთქვათ, "დაკანონებულ" უკანონობას არანაირი კანონი არ იცავს და მასთან საბრძოლველად, მის აღმოსაფხვრელად მხოლოდ გაბედული, უკომპრომისო რადიკალიზმია საჭირო. გასულ წლებში არსებული ზოგადი სისტემისა და ამ სისტემას მორგებული ცალკეული პიროვნებების აბსურდულობის, სისულელის, თავხედობის, მექრთამეობის ან ნაცნობობისა და კატასტროფული ცინიზმის საფუძველზე გაყიდულ-შესყიდული ქალაქის ცენტრალური ქუჩის ტროტუარი და მასზე ყოველგვარი ნებართვების ან აშკარა ქრთამით აღებული ნებართვების საფუძველზე წამოჭიმული სიმახინჯე რა სასამართლოს საჭიროებს? სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებებს მორჩილად რატომ უნდა ველოდოთ და ვუყუროთ, შენობის ცინიკოსი მეპატრონე, ქალაქის შეურაცხყოფის ფასად, ამასობაში როგორ "ბიზნესმენობს". საზოგადოების ერთი ნაწილის ნეგატიური სუბიექტივიზმის თავიდან აცილებისთვის კი, მგონია, საუკეთესო ხერხი იქნებოდა, რომ იდენტური სიტუაცია ნებისმიერი სხვა ცივილიზებული ქვეყნის დედაქალაქში წარმოიდგინოს. მართალია, ამის წარმოდგენა საკმაოდ მდიდარ ფანტაზიას საჭიროებს, მაგრამ დავუშვათ, ევროპის ერთ-ერთი ქალაქის მუნიციპალიტეტის რომელიმე მაღალჩინოსანი, უბრალოდ, გაგიჟდა და ქალაქის ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილი გაყიდა, ვიღაცა ასევე არანაკლებმა გიჟმა კი იგი იყიდა და სრულიად უკითხავად, საკუთარი გემოვნების შესაბამისი "შედევრი" წამოჭიმა. როგორ წარმოგიდგენიათ, ამას რა მოყვება? დამერწმუნეთ, რომ გიჟებს წამიერად ან საგიჟეთში ან ციხეში გამოამწყვდევენ, გარიგებას ანულირებულად გამოაცხადებენ, შენობას კი ჩქარ ტემპში, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაანგრევენ.

მოკლედ, რა ბევრი გავაგრძელო იმაზე, რაც თქვენ ჩემზე არანაკლებ კარგად იცით. ერთს კი გულახდილად ვაღიარებ, რომ ასეთ თავხედურ შემთხვევაში მე სწორედ ამგვარი რადიკალიზმის მომხრე ვარ. ამ კვირაში ჭავჭავაძის გამზირზე შუშის ნაგებობის ასეთ ნანატრ დანგრევას, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად, პირადად მე, საქართველოს მე-17 გამარჯვებას ვუწოდებდი, საიუბილეო ბუკლეტში, მით უმეტეს სხვა აღნიშნული გამარჯვებების ფონზე, სიამოვნებით შევიტანდი და "ცინიზმზე გამარჯვებას" დავარქმევდი.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კარგი იქნება, თუ ე.წ. "დაკანონებულ" მშენებლობასთან, განუკითხაობასთან ბრძოლა მხოლოდ ერთი, თუნდაც ყველაზე სამაგალითო შენობით არ შემოიფარგლება, უამრავ სხვა ამავე ტიპის ნაგებობებს, სრულიად ვანდალურ დაშენება-მიშენებებსაც შეეხება და ამ პროცესში, სამწუხაროდ, ასეთი გავრცელებული ორმაგი სტანდარტი არ იარსებებს.

კარგი იქნება, თუ, მაგალითად, უნივერსიტეტის პირდაპირ, ჟურნალისტიკის კორპუსის გვერდზე, თაყაიშვილის ქუჩის კუთხეში მიწებებულ შუშის კოლოფსაც მოანგრევენ, მას ზემელზე, მეტრო "რუსთაველთან" "შუშის სახლს" თავის კოლგოტკებიანად მიაყოლებენ და ა.შ. კარგი იქნება, თუ თბილისის მერი ქუჩებში, განსაკუთრებით კი ჭავჭავაძის გამზირზე სიარულისას ზემოთაც აიხედავს ხოლმე და იქ არსებული დაშენებებისთვისაც ასევე რადიკალურად მოიცლის. შეიძლება იფიქროთ, რომ ცოტა მაქსიმალიზმში გადავდივარ, მაგრამ რატომაც არა?! თუ ებრძვიან, ბარემ ბოლომდე ებრძოლონ, თუ ძირკვავენ, ბოლომდე ამოძირკვონ, თუ დედაქალაქს ცივილიზებულ იერსახეს მეტ-ნაკლებად უბრუნებენ, დაუბრუნონ, თუ პრინციპულობენ, ბოლომდე დაიცვან პრინციპები, თუ უკომპრომისობენ, ბოლომდე უკომპრომისოები იყვნენ, თუ გვიმტკიცებენ, ბოლომდე დაგვიმტკიცონ. მე-17 გამარჯვებაში, სხვა გამარჯვებებიდან განსხვავებით, თვალნათლივ დაგვარწმუნონ და პოსტსაბჭოთა სისტემის განუკითხაობის ნგრევას მისი აბსურდული დანატოვარის დაუნდობელი ნგრევაც მოაყოლონ.

# უკმაყოფილო SMS-ები

■ ქართული მედიის ჟურნალისტები საკუთარი პროფესიონალიზმის, ეთიკის დასაცავად კიდევ რამეს იტყვიან, ვინმეს გაუნაწყენდებიან? ვის, სად გაუგია, რომ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ან თუნდაც უმნიშვნელო საკითხებზე ფინანსთა მინისტრს ინტერვიუს, არც მეტი არც ნაკლები, მამაკაცების ტუალეტის კართან, WC წარწერის ფონზე ართმევდნენ. თანაც საბრალო მინისტრმა საუბარი რამდენჯერმე დასრულებულად მიიჩნია, კარი გამოაღო, მაგრამ არა და არა! მაინცდამაინც კამერების წინ უნდოდათ, რომ შერცხვენილიყო?!

■ გრანდიოზული მშენებლობების დაწყების წინ აეროპორტის დირექტორის ბურუსით მოცული მოხსნა საეჭვო და ნიშანდობლივი ხომ არ არის? ერთ-ორ წელიწადში თბილისსა და ბათუმში ორი ახალი აეროპორტი, ალბათ, გვექნება, მაგრამ მშენებლობის დროს ვის მიერ რამდენი შეიჭამა, არასდროს გვეცოდინება. წლების განმავლობაში კარგად ნაცნობი, გადაღებილი სქემა, რბილად რომ ვთქვათ, მოგვბეზრდა, აღარ ვჭამთ!

■ კობა დავითაშვილის უსუსური ლაყბობა და მისი საარჩევნო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი გიგა ბოკერიას ცემაა, სასაცილოც აღარ არის! უბრალოდ, თავხედია! ქვეყანაში ამდენი სერიოზული პრობლემაა და ის კი რაღაცას ტაკიმასხარობს. თუ დავითაშვილი-ბოკერიას ჩხუბის შედეგი, ჩემთვის პირადად, წინასწარ ნათელია, ძიძიგური-ბრეგაძე საკრებულოში ერთმანეთს დიდი დამრტყმელებივით რომ ეჯგიმებოდნენ, კი უნდა მიეშვათ! საინტერესოა, ქართული პოლიტიკის ეს ორი გლადიატორი ერთმანეთს როგორ შეერკინებოდა. ამიხსენით, საერთოდ ხომ არ გაგიჟებულან ყველანი?! მათი უაზრო ბაქიბუქობისთვის ვის სცალია? თუ პოლიტიკური ლექსიკა ამოეწურათ ან სახლში დასხდნენ, ან სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი, ჩვენ კი დაგვასვენონ. დავითაშვილი-ძიძიგურისთვის (Dolce and Gabana) მთელი ქვეყნის აბუჩად აგდების უფლება არავის მიუცია. წავიდნენ და ერთმანეთში იჭიდაონ.

■ ქართულ და რუსულ მასმედიაში ამ ბოლო პერიოდში შორეული, თითქოს მივიწყებული ჩეკისტური წარსულიდან იგორ გიორგაძის სახელის ამოტივტივება საკმაოდ არ მსიამოვნებს. მენტორული ტონით გაკეთებული დასკვნები, ქართული პოლიტიკის ექსპერტიზა, მის მიერ სამომავლო პერსპექტივების დასახვა, მგონია, რომ ვიღაცის, რაღაცის ახალი ან ძალიან ძველი, მაგრამ ბინძური, სახიფათო თამაშის ნაწილია. არ შეიძლება, რომ ამ ისტორიულ-პოლიტიკურ ატავიზმს ქართულმა მასმედიამ მაინც გაუწიოს იგნორირება. ჩვენ ხომ ყველანი ერთად ახალი ქართული სახელმწიფოს შენებას ვცდილობთ, იგორ გიორგაძე კი ნაციონალობის გარეშე "კაგებეშნიკია", რომლის სათქმელს 1917 წლიდან სამოცდაათი წელი ვისმენდით და აღარ გვინდა.

■ ინგა გრიგოლიამ თუ საკუთარი საავტორო გადაცემის "პირველების" ფორმა შეცვალა და ჩართვებზე გადავიდა, მაშინ ამას დებატებსაც ნულარ დაუძახებს. აბა, რაღა დებატები გამოდის, თუ რესპონდენტები ცალ-ცალკე თავისას მიერეკებიან, მონოლოგებით წარმოგვიდგებიან. ამის შედეგად კი რაც ნათელი ხდება - ვინ ვინ არის, ეს ხომ ისედაც ვიცით, ყოველდღე ვისმენთ და დასკვნებსაც შეძლებისდაგვარად ვაკეთებთ.

■ ამ დაძაბული, რთული, პრობლემებით აღსავსე, სრულიად უხალისო კვირის ბოლოს ასე თუ გავხალისდებოდი, გულით ამდენს თუ ვიცინებდი, არაფრით წარმომედგინა. პირადი დაცვისა და საყვარელი ნათესავების თანხლებით კანონიერი ქურდი "წრიპას" აბანოთუბანში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მარშრუტზე ვოიაჟი ერთი კარგი ფელეტონის ღირსია. შავთეთრ სააბაზანო ხალათში გამოწყობილი ქურდი, სპორტულებში ჩაცმული ბიძა და მათი სიმყუდროვისა და უსაფრთხოების დამცველი ორი პირადი მცველი-ბადრაგი, გროტესკია, აბა რა არის? მთელი სისტემის გროტესკია!

სანამ ციხეების პატიმრებს, კანონიერ ქურდებს, ან უბრალოდ ფინანსურად ძლიერ "ვესიან" მსჯავრდებულებს "მარიოტში" ჩაიზე, რუსთაველის თეატრის პრემიერაზე ან რომელიმე რესტორანში დაბადების დღის აღმნიშვნელს არ ვნახავთ, მანამდე პასუხი მხოლოდ მეისრეებს მოეთხოვებათ? როდემდე ველოლიავოთ ან რატომ, თურაშაული ვაშლივით წითელლოყება კოპაძეს? შეგახსენოთ, მაგის მეათედი მიზეზით ან სრულიად უმიზეზოდ რამდენი მინისტრი როგორი ფორმით მოხსნილა? დამერწმუნეთ, არ გამიჭირდება. ნუთუ ვერ ვგრძნობთ, რომ მთელი სისტემა ჩვენზე იცინის? მოდით, ან მათთან ერთად მაინც გავიცინოთ, ან რამე რადიკალური ზომები მივიღოთ, თუ შეგვიძლია.

# მრავალფეროვანი უბნის ამ კვირის ფერადოვნება







თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ძველი, ლამაზი, ფეხით მოსიარულე შარდენისა და ბამბის ქუჩები, ნელ-ნელა, ქალაქის საყვარელ, ხალხმრავალ, მრავალფეროვან ადგილად იქცა, სადაც ბოლო პერიოდში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ახალ-ახალი, მყუდრო, განსხვავებული სამზარეულოების სხვადასხვა გემოვნებაზე გათვლილი რესტორნები, კაფეები, სამხატვრო გალერეები, შემოქმედებითი სახელოსნოები, პატარ-პატარა მაღაზიები გაიხსნა და სადაც ყოველ საღამოს, განსაკუთრებით კი შაბათ-კვირას, ნებისმიერი ასაკის, სტილის, მდგომარეობის, ფინანსებისა და ინტერესების მქონე თბილისელებს გართობა, საღამოს სასიამოვნოდ გატარება შესაბამისად შეუძლიათ. ქალაქის ამ კოლორიტულ მონაკვეთში ვის არ შეხვდები - დღევანდელ სახელისუფლებო ელიტას, ყოფილი მთავრობის ერთი-ორჯერ ფულგადახდილ, დაჭერილ და გამოშვებულ წევრს, კოკა-კოლას დასალევად და მუსიკის მოსასმენად მოსულ შეყვარებულად დაწყვილებულ თინეიჯერებს, ფერადოვანი გაპრანჭული კოქტეილების მისართმევად მოსულ ზუსტად კოქტეილივით გაპრანჭულ მანდილოსანთა მცირერიცხოვან წრეს, ოჯახის დარბაისელ მამებს, საყვარლელბთან ერთად ცუდ შამპანურს რომ წრუპავენ, კრემითა და მუსით მორთული ფრანგული ბლინების - კრეპების საჭმელად შვილებთან ერთად მოსულ დედებს, ახალგაზრდა ჩინოსნებს, რომლებიც, მაღალი თანამდებობებიდან გამომდინარე, გოგონებს ზედმეტად თამამად და ზოგჯერ ვულგარულადაც რომ ათვალიერებენ, ვიწრო, წელში გამოყვანილ პიჯაკებში გამოწყობილ გრძელშარფიან ბიჭებს, რომლებსაც ქალები საერთოდ არ აინტერესებთ, რიგითი სპექტაკლიდან მოსულ თეატრალებს, ცნობილ ფეხბურთელს, ამ ბოლო დროს ასეთ ფორმალურ, მაგრამ ამავე დროს პოპულარულ ადვოკატებს, მეგობრების წრეში ვალიაჟურად მოდუნებულ რომელიმე მინისტრს, სხვადასხვა ახალმოდური "Group"-ის წარმომადგენელ გალოკილ წარმატებულ ბიზნესმენებს და მათ მიერ მოპატიჟებულ ასევე გალოკილ დაბალჩინოსნებს, უცხოელებს და მათ გარშემო მუდმივად მოტრიალე, რატომღაც ერთსა და იმავე ქართველებს, ძალიან ბოჰემურ, მაგრამ უნიჭო მსახიობს და სრულიად არაბოჰემურ ნიჭიერ მხატვარს, საზღვარგარეთ მცხოვრებ აღფრთოვანებულ ქართველს...

ამ კვირაში ეს პატარა ცოცხალი, მრავალფეროვანი უბანი კიდევ უფრო ხალხმრავალი იყო. მანთაშოვის რიგებში, ბამბის ქუჩაზე ახალი ლამაზი მაღაზია გაიხსნა, რომლის საღამოს შვიდ საათზე დანიშნულ პრეზენტაციას ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადოების ფაქტობრივად ყველა ნაწილი ესწრებოდა. მაღაზიის გახსნაზე ამდენი მოწვეული სტუმარი მხოლოდ ტელევიზორში, სტელა მაკარტნის მაღაზიასთან, ლონდონში მინახავს. ოღონდ ერთი პატარა სხვაობით - იქ, შორეული ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში, მაღაზიას მადონაც სტუმრობდა. მართალია, თბილისში მადონას ტოლფასი ვარსკვლავი არ გვყავს (ნურავის ეწყინება), მაგრამ დანარჩენში - არც გარეგნობაში, არც ჩაცმულობაში, არც ექსტრავაგანტულობაში, არც მოდურობაში, არც თმების ფერების სითამამეში, არც ზედაპირულ, არაფრისმთქმელ ღიმილში, არც "სვეცკობაში", არც სნობიზმში არ ჩამოუვარდებოდა. მით უმეტეს, რომ ახალ მაღაზიაში შემოთავაზებული განათებულ-მოციმციმე ნაძვის ხეები, ბრჭყვიალა საახალწლო სათამაშოები, წითელი თუ შავი ბაბთები, ოქროსფერი ან ბროლის საშობაო მძივები და კიდევ უამრავი სხვა წვრილმანი აქსესუარი, ხარისხითა და დახვეწილობით სწორედ ლონდონურს გაგონებდა. ხალხი ირეოდა, ქუჩაში გამოტანილ ნაძვის ხეებს ათვალიერებდა, სათამაშოებს გულმოდგინედ ირჩევდა, საშობაოდ აუცილებელ, ინტერიერის დასახვეწ დეტალებს ყიდულობდა, ლამაზი პარკებით იტვირთებოდა, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდა, კომპლიმენტებს ეუბნებოდა როგორც გარეგნობასთან, ისე შეძენილთან დაკავშირებით, ლოგიკურ ჯგუფებად იყოფოდა, გარშემო მრავლად არსებულ კაფეებსა და რესტორნებში იქსაქსებოდა და გზადაგზა პატარა უბნის კიდევ უფრო აშკარა გალამაზებით, გამოცოცხლებით აღფრთოვანდებოდა.

# არტემიდას მეძავთა მფარველობაც დააკისრეს

*საროსკიპოებით ევროპაში ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ის, რაც გერმანელებმა გააკეთეს, უთუოდ აღნიშვნის ღირსია. მოგეხსენებათ, გაისად გერმანია საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. გარდა იმისა, რომ მილიონობით გულშემატკივრისთვის სასტუმროთა პერსონალი საგანგებო სამუშაო რეჟიმში გადავა, ისევე, როგორც სამართალდამცავები, მომსახურებათა სხვა სფეროც საგანგებო ვითარებაში იმუშავებს. საუბარია როსკიპებზე, რომლებიც სრული სერვისისთვის ასევე საგანგებოდ ემზადებიან. ერთი სიტყვით, ორი თვის წინათ ბერლინში გახსნილი საროსკიპო ევროპაში ყველაზე დიდადაა მიჩნეული. როგორც Independent წერს, ბერლინის საროსკიპო ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივრის დასაკმაყოფილებლად საკუთარ კარს უღებს სხვა ქვეყნის მეძავებსაც - საკუთარი ძალებით მილიონობით საფეხბურთო ფანს ვერ დავაკმაყოფილებთო. ანუ დამხმარეთა რაზმს სხვა ქვეყნებიდანაც ელიან.*



დანიშნულების ადგილი იმ სტადიონის სიახლოვესაა, რომელიც უმთავრეს საფეხბურთო მატჩებს უმასპინძლებს. ამავე საროსკიპოშია თურქული აბანო, ორი საუნა, ორი კინოთეატრი და დაახლოებით 100 მეძავი, რომლებიც მზად არიან 24 საათის განმავლობაში მოემსახურონ მსურველებს.

პროგნოზის თანახმად, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას 3 მილიონამდე ფანატი ერთხელ მაინც შეაღებს საროსკიპოს კარებს იმავე გულშემატკივართა დასაკმაყოფილებლად ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 40 ათას მეძავს ელიან.

ახლა იმაზეც, თუ რა ჰქვია ამ საროსკიპოს, სახელი კი მეტად საპატიო შეურჩევიათ - Artemis, ანუ არტემიდა (ბერძნულ მითოლოგიაში ნადირობისა და ქალწულობის ქალღმერთი. ზევსისა და ლეტოს შვილი და აპოლონის ტყუპისცალი. რედ.) ბერლინის ოლიმპიური სტადიონიდან დაახლოებით 2 კილომეტრითაა დაშორებული.

ერთი შეხედვით ეს ოთხსართულიანი დაწესებულება, რომელიც 5 მილიონი ევრო დაჯდა, ძვირფას სასტუმროს ჰგავს, მაგრამ, როგორც კი მიუახლოვდებით, აღმოაჩენთ, რომ სახურავზე მიბმულია დეკორატიული საჰაერო ბურთი, სინამდვილეში კი ეს საჰაერო ბურთი ერთი უზარმაზარი ფალოსია.

ახლა, რა ღირს იქ შესვლა. არტემიდაში მოსახვედრად 40 ევროს გადახდაა საჭირო, რაც მომხმარებელს მწვანე შუქს უნთებს ბარის, მასაჟის სალონის, ბორდელის კინოთეატრის და "დაწესებულების" 46 ნომრისკენ, სადაც თავის მხრივ განთავსებულია ერთგვარი თავშესაქცევი სარეცელი, სარკე და ვაკხანალიათა ამსახველი სურათები. რაც შეეხება უმთავრესს, ანუ სექსს, ამისთვის დამატებითი შესატანია საჭირო.

ნორმან ჯეკობი, რომელიც საროსკიპოს პრესმდივანი და იურისტია, ამბობს, რომ "დაწესებულება" მეძავებს სუტენიორებისგან დამოუკიდებელს ხდის. ამასთან დასძენს, რომ არტემიდაში გამორიცხულია აღმოსავლეთ ევროპელ "სექსუალურ მონათა" ყოლის შესაძლებლობა.

"ყველა იმ გოგოს, ვინც აქ იმუშავებს, ექნება საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომერი და საბუთები, რომელიც ევროკავშირში მუშაობის უფლებას იძლევა, - ვითარებაში გვარკვევს ნორმან ჯეკობი. - თითოეული შემოსასვლელად იხდის 70 ევროს, მაგრამ იმავდროულად, უფლება აქვთ კლიენტს მომსახურებისთვის ნებისმიერი თანხა მოსთხოვონ. შემოსავალი სრულად მათ დარჩებათ".

კიოლნი იმ 11 ქალაქთაგანია, სადაც ასევე გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები, რომელიც ბერლინის მაგალითს ბაძავს. დასტურად ქალაქის განაპირა მხარეს გაიხსნა "სექსუალური ფარეხები". ამბობენ, იგივე გეგმები აქვთ მიუნხენშიცო, სადაც, პოლიციის პროგნოზებით, მეძავთა რაოდენობა 30 პროცენტით გაიზრდება.

ამასობაში ქალთა ორგანიზაციები, სასულიერო პირები და პროფკავშირის წარმომადგენლები შეშფოთებას გამოთქვამენ გერმანიაში სექსუალური მონების ზრდის ტემპების გამო. მეტიც, ქალთა საბჭოს სტადიონების სიახლოვეს საპროტესტო აქციები განუზრახავთ, რათა ასეთი ფორმით ფეხბურთის გულშემატკივრებს შესაბამისი პრობლემის არსებობა ამცნონ.

მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას სექსუალურ ექსპლუატაციას "წითელი ბარათი" უნდა ავუფრიალოთო, აცხადებს ქალთა საბჭოს პრესმდივანი.

# მარიო ლემიე ჰოსპიტალში მოხვდა

ჰოკეის კლუბის "პიტსბურგ პინგვინზის" მოთამაშემ და მფლობელმა, ლეგენდარულმა მარიო ლემიემ ოთხშაბათს თავი შეუძლოდ იგრძნო. ის სასწრაფოდ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. კლუბის გენერალური მენეჯერის კრეგ პატრიკის განმარტებით, ლემიე არითმიამ შეაწუხა და ის საავადმყოფოში ერთი დღით დარჩება.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც მარიო ლემიე თანამედროვე ჰოკეის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად ითვლება. 1990-იანი წლების ბოლოს მან კარიერა დაასრულა, თუმცა, 2000 წელს კვლავ დაუბრუნდა სპორტს. სხვადასხვა ტრავმისა თუ დაავადებათა გამო ლემიემ ბოლო ორ წელიწადში მნიშვნელოვანი პერიოდი გამოტოვა. წლევანდელი სეზონის წინ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სურს, კიდევ რამდენიმე წელი ითამაშოს.

**საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი ნუმიზმატებისათვის საინტერესო სიახლეს ამზადებს. ფულის ნიშნების კოლექციონერებს შესაძლებლობა ექნებათ, შეიძინონ როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით დამზადებული საიუბილეო და სამახსოვრო მონეტები, ასევე საბჭოთა კავშირის პერიოდში მოჭრილი საკოლექციო საბჭოთა რუბლები.**

### საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული საიუბილეო და სამახსოვრო მონეტები

| ნომინალის დასახელება | შემადგენლობა | მონეტის სარეალიზაციო ფასი (ლარში) |
|---|---|---|
| 500-ლარიანი ოქროს მემორიალური მონეტა | ოქრო, სინჯი – 920° (22K) წონა – 17 გრ. დიამეტრი – 31 მმ | 810 |
| ქრისტეშობის 2000 წ. ვერცხლის მონეტა | ვერცხლი 925° წონა – 15.98 გრ. დიამეტრი – 28.40 მმ | 80 |
| საქ. სახელმწ. 3000 წ. ვერცხლის მონეტა | ვერცხლი 925° წონა – 15.98 გრ. დიამეტრი – 28.40 მმ | 80 |
| ქრისტეშობის 2000 წ. სპილენძ-ნიკელის მონეტა | სპილენძ-ნიკელი. წონა – 28.28 გრ. დიამეტრი – 38.61 მმ | 60 |
| საქ. სახელმწ. 3000 წ. სპილენძ-ნიკელის მონეტა | სპილენძ-ნიკელი. წონა – 28.28 გრ. დიამეტრი – 38.61 მმ. | 60 |
| ქრისტეშობის 2000 წ. ბიმეტალური მონეტა | შიდა რკალი – სპილენძ-ნიკელი გარეთა რკალი – სპილენძ-ნიკელი-თუთია. წონა – 10.60 გრ. | 12 |
| საქ. სახელმწ. 3000 წ. ბიმეტალური მონეტა | შიდა რკალი – სპილენძ-ნიკელი გარეთა რკალი – სპილენძ-ნიკელი-თუთია წონა – 10.60 გრ. | 12 |
| ხურდა ფულის კომპლექტი (თეთრები) | | 7 |
| 1-ლარიანი ვერცხლის მონეტა პლასტიკური ყუთით | ვერცხლი (Ag) 925 წონა – 28.28 გრ. დიამეტრი – 38.61 მმ | 80 |
| 1-ლარიანი ვერცხლის მონეტა ხავერდის ყუთით | ლითონი – ვერცხლი (Ag) 925 წონა – 28.28 გრ. დიამეტრი – 38.61 მმ | 90 |
| 1-ლარიანი ვერცხლის მონეტა ხის ყუთით | ვერცხლი (Ag) 925 წონა – 28.28 გრ. დიამეტრი – 38.61 მმ | 110 |

### ისტორიული მონეტები

| ნომინალის დასახელება | შემადგენლობა | სარეალიზაციო ფასი (ლარში) |
|---|---|---|
| „კოლხური თეთრი" კაფსულებში | ვერცხლი | 50 |
| „დავით აღმაშენებელი" კაფსულებში | სპილენძი | 45 |
| „თბილური ორაბაზიანი" კაფსულებში | ვერცხლი | 48 |
| ისტორიული მონეტების კომპლექტი ყუთით | | 245 |
| სასუვენირო-სარეკლამო მონეტების ბუკლეტები | ისტორიული მონეტების ასლები | 21 |
| ხავერდის პატარა ზომის ყუთი 4 მონეტით და ბუკლეტით | ისტორიული მონეტების ასლები | 230 |
| ტყავის საშუალო ზომის ყუთი 4 მონეტით და ბუკლეტით | ისტორიული მონეტების ასლები | 250 |

### საბჭოთა კავშირის საიუბილეო მონეტები

| საბჭოთა კავშირის საიუბილეო მონეტები | ნომინალის დასახელება | 1 მონეტის სარეალიზაციო ფასი (ლარში) |
|---|---|---|
| ტოლსტოი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| რაინისი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| საერთაშორისო მშვიდობის წელი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| სკორინა | 1 რუბლი | 2 ლარი |
| ჩეხოვი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი (1945-1985 წწ.) | 1 რუბლი | 2 ლარი |
| ციოლკოვსკი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| ლებედევი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| ბოროდინოს ბრძოლის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი. უნივერსიტეტი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი. დოლგორუკი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი. ემბლემა | 1 რუბლი | 2 ლარი |
| 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი. მონუმენტი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი. კრემლი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი. ოლიმპიური ჩირაღდანი | 1 რუბლი | 2 ლარი |
| სომხეთი, მიწისძვრის ზონა | 3 რუბლი | 4 ლარი |
| პოკროვის ტაძარი | 5 რუბლი | 6 ლარი |
| დიდი სასახლე | 5 რუბლი | 6 ლარი |
| მატენადარანი, ერევანი | 5 რუბლი | 6 ლარი |
| პეტრე პირველი | 5 რუბლი | 6 ლარი |
| მიძინების ტაძარი | 5 რუბლი | 6 ლარი |
| ხარების ტაძარი | 5 რუბლი | 6 ლარი |
| რუსეთის 1000-წლისთავისადმი მიძღვნილი. ნოვგოროდის მონუმენტი | 5 რუბლი | 6 ლარი |
| 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი (ვერცხლი) | 5 რუბლი | 64 ლარი |
| 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი (ვერცხლი) | 10 რუბლი | 80 ლარი |



# გინდათ, მოიპოვოთ ნობელის პრემია?

მერაბ ლორთქიფანიძე

იცოცხლეთ დიდხანს, არ მოწიოთ, ცოტა სვით, იყავით დაბალანსებულ დიეტაზე, ყოველთვის გამოიყენეთ შვებულება, რადგან ასე უფრო დიდხანს იცოცხლებთ. ეს კი იმისთვის დაგჭირდებათ, რომ შესაძლოა, ნახევარი საუკუნე გავიდეს, სანამ თქვენს აღმოჩენას ნობელის კომიტეტი სათანადოდ დააფასებს. ამდენად, ჯანმრთელობა ნობელის პრემიის მოპოვების არაპირდაპირი საშუალებაა.

გარდა ამისა, არავის მოუყვეთ თქვენი იდეის, ან აღმოჩენის შესახებ, სანამ მასზე უფლებას ოფიციალურად მოიპოვებდეთ. რადგან ის შეიძლება მოგპარონ, როგორც არაერთხელ მომხდარა. კარგად უნდა იცოდეთ ინგლისური, რადგან თქვენი აღმოჩენის მოყოლა წერილობით სწორედ ამ ენაზე მოგიწევთ და თუ ამას ვერ შეძლებთ, ვერც თქვენი ნაშრომის შეფასება მოხერხდება.

ყველა ეს რჩევა ნობელის პრემიის ავსტრალიელ ლაურეატ **პიტერ დოერტის** ეკუთვნის, რომელმაც ახლახან გამოსცა წიგნი სახელწოდებით "მეგზური მათთვის, ვისაც ნობელის პრემიის მოპოვება სურს".

დოერტიმ ნობელის პრემია 1996 წელს, ფიზიოლიგიისა და მედიცინის დარგში, შვეიცარიელ კოლეგა **როლფ ცინკერნაგელთან** ერთად მოიპოვა. მათ ეს აღიარება დაიმსახურეს ნაშრომისთვის, რომელშიც აღწერილია უჯრედოვან დონეზე იმუნური თავდაცვის პროცესი.

დოერტის წიგნის პრეზენტაცია ზუსტად იმ დღეს ჩატარდა, როცა ნობელის კომიტეტმა მისი ორი თანამემამულის, **ბარი მარშალისა** და **რობი უორენის** ნაშრომი დააფასა ნობელის პრემიით ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში.

დოერტის წიგნში მეტწილად მისი, მეცნიერის ცხოვრების შესახებაა მოთხრობილი. ბოლო თავში კი ავტორი იძლევა რჩევებს მათთვის, ვისაც ნობელის პრემიის მოპოვების იდეაფიქსი ამოძრავებთ. თავს ასეც ჰქვია - "როგორ მოვიგოთ ნობელი".

ამ თავში ჩამოწერლია ავტორის რჩევები იმის შესახებ, თუ რა თვისებებს უნდა ფლობდეს ადამიანი იმისათვის, რომ თავისი აღმოჩენისა და კვლევისათვის საყოველთაო აღიარება დაიმსახუროს.

"ამგვარი ინსტრუქციის მიცემა შეუძლებელია. ძალად ვერავის აქცევ ნობელის ლაურეატად. რეალურად კი, შემიძლია ვთქვა, ყოველ ჩვენგანს გაცილებით მეტი შანსი აქვს იმისა, რომ გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი, ვიდრე დაეუფლოს ნობელის პრემიას. სანობელო აღმოჩენები ძალიან იშვიათად კეთდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელია", - ჰყვება დოერტი და დასძენს:

"ეცადეთ, გადაწყვიტოთ გლობალური პრობლემა". თუმცა, ავტორი იქვე დასძენს, რომ ასეთი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან - ალბათ, უცხოპლანეტელები ჩვენში უფრო მეტნი არიან, ვიდრე ისინი, ვისაც გლობალური პრობლემების მოგვარება ხელეწიფებათო.

"სულ სხვაა აღმოჩენა. წინასწარ ვერავინ იტყვის, თუ რა აღმოჩენას გააკეთებს მომავალში, მაგრამ არის უამრავი საშუალება იმისა, რომ აღმოჩენისკენ ილტვოდე. ამას აუცილებლად მოჰყვება რაიმე შედეგი. რამდენად სერიოზული იქნება აღმოჩენა? ამას მომავალი, ცხოვრება გვიჩვენებს. იშრომეთ, იაზროვნეთ, იფიქრეთ გამუდმებით და თუ გაგიმართლათ, შემდეგ მოთმინება უნდა მოიკრიბოთ და თქვენს დროს ელოდოთ. შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს, ნობელის პრემიაზე წარგადგინოთ ვინმემ".

მარშალი და უორენი ზუსტად შეესაბამებიან დოერტის მიერ მოცემულ განსაზღვრებებს. მათ კუჭის წყლულისა და ინფექციის გამომწვევი ბაქტერია ჯერ კიდევ 1982 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ ოც წელზე მეტხანს მოუხდათ ლოდინი, სანამ მათი ნაშრომი რეალურად დაფასდებოდა.

"ყველაფერში ზომიერებაა საჭირო - ცხოვრების რიტმში, სმაჭამაში, ვარჯიშშიც კი. მოერიდეთ სპორტის ექსტრემალურ სახეობებს და ხანდახან ძნელად შესასრულებელი ონებისგანაც ისესხეთ იდეები. და კიდევ, მარტო ნიჭით შორს ვერ წახვალთ. საჭიროა ნებისყოფა და ბევრი შრომა. დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი კი, ვინც მუშაობის თემას ხშირად ცვლის, საბოლოოდ ძნელად თუ მიაღწევს რამეს", - გვირჩევს დოერტი და რა თქმა უნდა, არც ის ავიწყდება, რომ საჭიროა კარგი განათლების მიღება:



"კარგია, თუ ცხოვრობთ ამერიკაში, ევროპაში, იაპონიაში, კანადაში, ან ავსტრალიაში, იზრდებით ინტელექტუალურ ოჯახში, რომელიც ყველანაირად ცდლობს, რომ თქვენ სათანადო განათლება მიგაღებინოთ. თუმცა, ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ რომელიმე საშუალო მოსწავლისგან მომავალში შესანიშნავი მეცნიერი ჩამოყალიბდება. მენტალური კრიზისი დაგეწყებათ? დროებით მოეშვით საქმეს და ივარჯიშეთ, ეს გამოგადგებათ", - გვირჩევს დოერტი და თავისი სიტყვების დასტურად ნობელის პრემიის ორი ლაურეატის მაგალითი მოჰყავს.

**ილია მეჩნიკოვმა**, ვისაც ნობელის პრემია მედიცინის დარგში, 1908 წელს მიენიჭა, თავისი აღმოჩენა ზღვის პირას სეირნობისას გააკეთა, როცა ნაპირზე გამორიყულ ვარსკვლავთევზას აკვირდებოდა. **კერი მულისმა** კი, ვისაც ნობელის პრემია ქიმიის დარგში, 1993 წელს მიენიჭა, აღმოჩენას მაშინ მიაგნო, როცა ღამით, ეულად ცურავდა ზღვაში.

მას შემდეგ კი, რაც აღმოჩენას გააკეთებთ, ყველანაირად დაიცავით ის კონკურენტებისგან. მცირე დეტალსაც კი ნუ გაახმაურებთ. მერე კი, გასაგებ ენაზე (ინგლისურად) გადმოეცით ყველაფერი, რაზეც გიმუშავიათ. "მეცნიერება ისაა, რომ ყველაფერს გასაგებად გადმოსცემ. მერე კი, როცა დარწმუნდები, რომ იდეას, ან აღმოჩენას ვერავინ შეგეცილება, ელოდე, სანამ შენი ჯერი მოვა".

ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ნობელის პრემიის წლევანდელი მფლობელები უკვე გაგაცანით. ნობელის კომიტეტის განმარტებით, მათ ეს პრემია დაიმსახურეს ნაშრომისთვის, რომელშიც აღწერილი იყო, "თუ როგორ გავლენას ახდენს ბაქტერია "ჰელიკობაქტერ პილორი" გასტრიტზე და კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში წყლულის წარმოქმნაზე".

ფიზიკაში აღიარება მოიპოვეს ამერიკელებმა, **როი გლაუბერმა** და **ჯონ ჰოლმა**, ასევე გერმანელმა **თეოდორ ჰენშმა**. პრემიის ნახევარს გლაუბერი მიიღებს "ოპტიკური კოჰერენტულობის კვანტური თეორიის დამუშავებაში გაწეული ღვაწლისთვის" (ციტირებულია ნობელის პრემიის კომიტეტის განმარტება). პრემიის მეორე ნახევარს კი გაინაწილებენ ჰოლი და ჰენში, რომლებმაც "დიდი წვლილი შეიტანეს დიდი სიზუსტის ლაზერული სპექტროსკოპირებისა და სიხშირის ოპტიკურ სტანდარტებში სხივის გარდატეხის პრეციზიული გათვლების ტექნიკის დამუშავებაში" (ციტირებულია ნობელის პრემიის კომიტეტის განმარტება).

ქიმიაში აღიარება ერგოთ ფრანგ **ივ შოვანსა** და ორ ამერიკელ მკვლევარს - **რობერტ გრაბსსა** და **რიჩარდ შროკს**. მათ დაუფასდათ ნაშრომი, რომელშიც "ორგანულ სინთეზში მეტათეზისის მეთოდი განავითარეს". ახალი მოლეკულების სინთეზის მათეული მეთოდი დღეს გამოიყენება ფარმაკოლოგიაში.

## ნობელი ბაქტერიისთვის

მარშალმა და უორენმა აღმოაჩინეს ბაქტერია "ჰელიკობაქტერ პილორი" და შეისწავლეს მისი ზემოქმედება ადამიანის საჭმლის მომნელებელ ორგანოებზე. მათი აღმოჩენის წყალობით, ექიმები კუჭის წყლულს ქრონიკულ ანთებით დაავადებად აღარ მიიჩნევენ. თანამედროვე მედიცინა წყლულისგან მოკლე ვადაში განკურნების საშუალებას იძლევა, რისთვისაც გამოიყენება ანტიბიოტიკები და მჟავური სეკრეციის ინჰიბიტორები.

მარშალი ახლა 54 წლისაა, უორენი კი - 68 წლისა. პირველი ავსტრალიის დასავლეთის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის საკვლევი ლაბორატორიის თანამშრომელია, მეორე კი ქალაქ პერტის ჰოსპიტალში, პათოლოგისტად მუშაობს.

ყველასათვის მოულოდნელად, მათ 1982 წელს აღმოაჩინეს, რომ კუჭის ანთებას, რომელიც გასტრიტის სახელითაა ცნობილი, იწვევს ბაქტერია სახელად "ჰელიკობაქტერ პილორი". ამ ბაქტერიითაა გამოწვეული კუჭის წყლულის შემთხვევათა 80 და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის 90 პროცენტი. ამასთან, პლანეტის მოსახლეობის ორი მესამედი ამ ბაქტერიის მატარებელია.

გარდა ამისა, "ჰელიკობაქტერ პილორი" მიჩნეულია კუჭის კიბოს ერთ-ერთ გამომწვევად. კიბოს ეს სახეობა კი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში და სიკვდილიანობის რაოდენობის მხრივ, მეორე ადგილი უკავია. მარშალის და უორენის აღმოჩენამდე მიჩნეული იყო, რომ წყლულს იწვევს მეტწილად ხშირი სტრესები და კვების რეჟიმის დარღვევა.

## სინათლის სხივის შესაძლებლობანი

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა გლაუბერმა, ვინც ახლა 80 წლისაა, 1963 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღწერა სინათლის სხივი და მასში ფოტონების მოძრაობა, რითაც პრაქტიკულად, საფუძველი ჩაუყარა კვანტურ ოპტიკას. მან ახსნა ფუნდამენტური განსხვავება ლაზერულსა და ეგრეთ წოდებული ცხელი წყაროს მიერ გამოსხივებულ სინათლეს შორის.

გლაუბერის აღმოჩენიდან ათი წლის შემდეგ კი ჰოლმა და ჰენშმა, რომლებიც შესაბამისად, კოლორადოს უნივერსიტეტსა და მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტში მუშაობენ, შეძლეს სინათლის სხივში სხვადასხვა ფერის შესაბამისი სიხშირეების მეტრილიონედი ნაწილის სიზუსტით განსაზღვრა.

მათი ნაშრომის შედეგად, შესაძლებელი გახდა უზუსტესი საათების და გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) შექმნა. გარდა ამისა, შეიქმნა ახალი სისტემები, რომლებიც გამოიყენება უზუსტეს კოსმოსურ ტელესკოპებში, ასევე თანამედროვე სატელეკომუნიკაციო საშუალებებში. 63 წლის ჰენშისა და 71 წლის ჰოლის შრომების საფუძველზე შესაძლებელია ასევე ჰოლოგრაფიული (სამგანზომილებიანი) ტელევიზიის შექმნა.

## მოცეკვავე მოლეკულები

შოვანმა, გრაბსმა და შროკმა განავითარეს ორგანულ სინთეზში მეტათეზისის თეორია. ნობელის პრემიის კომიტეტმა მათ ნაშრომს უწოდა "მწვანე ქიმიისკენ" გადადგმული დიდი ნაბიჯი.

შვედეთის სამეფო აკადემიის წევრებმა ქიმიის დარგში ლაურეატების ნაშრომის არსი ასე განმარტეს: "მოლეკულები ერთმანეთთან ცეკვავენ, შემდეგ კი პარტნიორებს იცვლიან და ახალ მოლეკულებს ქმნიან". ამის საილუსტრაციოდ, შემდეგი სცენა გათამაშდა: აკადემიის ჰოლში ორი წყვილი მოცეკვავე - ორი ქალი და ორიც კაცი გამოვიდა. მათ იცეკვეს, ცეკვის დროს კი პარტნიორები (მოლეკულები) ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

მეტათეზისის თეორიის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ახალი წამლების დამზადება. ისეთებისა, რომლებითაც მალე ისეთი დაავადებანი განიკურნება, როგორებიცაა ალცჰაიმერის და დაუნის სინდრომი, შიდსი და კიბო. გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება სინთეტური საკვების, ახალი ქიმიკატების, ახალი მასალების და პლასტიკური მასების შექმნა.

"ქიმიის დარგში ნობელის პრემიის წლევანდელ ლაურეატთა ნაშრომის წყალობით, მეტათეზისი ორგანული ქიმიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეაქცია გახდა. მედიცინამ და ფარმაკოლოგიამ მიიღო ახალი მოლეკულების შექმნის ფანტასტიკური შესაძლებლობა. მალე, ახალი მოლეკულების შექმნისას, მხოლოდ წარმოდგენის შეზღუდულობა იქნება ერთადერთი ბარიერი", - ნათქვამია ნობელის კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში.

რაც შეეხება მეტათეზისს, ის "ადგილების შენაცვლებას" ნიშნავს. ამ მეთოდით მიმდინარე რეაქციებისას, ნახშირბადის ატომებს შორის ორმაგი ბმები ირღვევა და ისინი სრულიად ახალ მოლეკულებს ქმნიან.

1971 წელს შოვანმა შეძლო აეხსნა, თუ როგორ მიმდინარეობს მეტათეზისის რეაქცია და რომელი მეტალური ნარევები მოქმედებენ მათი მიმდინარეობისას, როგორც კატალიზატორები. კვლევის მომდევნო ნაბიჯი გახდა ამ კატალიზატორების შექმნა. პირველმა შროკმა შეძლო ეფექტური კატალიზატორის დამზადება. ეს 1990 წელს მოხდა. ორი წლის შემდეგ კი გრაბსმა კიდევ უფრო ეფექტური კატალიზატორის დამზადება მოახერხა. ეს კატალიზატორი ჰაერში შემავალ კომპონენტებთან რეაქციაში არ შედიოდა.

ივ შოვანი ახლა 74 წლისაა და ხელმძღვანელობს საფრანგეთის ნავთობის ინსტიტუტის საკვლევ განყოფილებას, რომელიც რეი-მალმეზონში მდებარეობს. რობერტ გრაბსი 63 წლისაა და ის კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობს. მან სადოქტორო დისერტაცია კოლუმბიის უნივერსიტეტში დაიცვა. შროკი 60 წლისაა. ის შტატ ინდიანას ქალაქ ბერნში დაიბადა, 1971 წელს კი დოქტორის ხარისხი ჰარვარდის უნივერსიტეტში მიიღო. ამჟამად ის მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მკვლევარად მუშაობს.

* * *

ნობელის პრემიის ლაურეატებს ყოველწლიურად ავლენს ნობელის კომიტეტი, ლაურეატების დაჯილდოება კი ყოველთვის 10 დეკემბერს, ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს ხდება შვედეთის სამეფო აკადემიაში. ლაურეატები ათ მილიონ შვედურ კრონას (1.2 მილიონი აშშ დოლარი) ღებულობენ.

ანდერძის მიხედვით, რომელიც ალფრედ ნობელმა 1895 წლის 27 ნოემბერს შეადგინა, პრემიებით ჯილდოვდებიან ხუთ სფეროში მოღვაწე ადამიანები. ეს სფეროებია ფიზიკა, ქიმია, ფიზიოლოგია (მედიცინა), ლიტერატურა და მშვიდობის დაცვა. 1900 წელს შეიქმნა ნობელის სპეციალური ფონდი, რომლის საწყისი კაპიტალი 31 მილიონი შვედური კრონა იყო. პირველი პრემიები კი 1901 წლის 10 დეკემბერს გაიცა. შვედური ბანკის ინიციატივით, 1969 წლიდან პრემია ეკონომიკის სფეროშიც გაიცემა.

თავად ნობელი კი 1833 წლის 21 ოქტომბერს, შვედეთში დაიბადა და სულ 355 გამოგონება დააპატენტა. მის გამოგონებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დინამიტი და დეტონატორები. ალფრედ ნობელი 1896 წლის 10 დეკემბერს, იტალიაში გარდაიცვალა.



ჯონ ჰოლი



როი გლაუბერი



თეოდორ ჰენში



რიშარ შროკი



რობერტ გრაბსი



ივ შოვანი



რობინ უორენი და ბარი მარშალი

# "კონკორდის ძე" ფრენას სწავლობს

იაპონელი ავიაკონსტრუქტორები იმედოვნებენ, რომ არცთუ შორეულ მომავალში შექმნიან ზებგერით სამგზავრო ლაინერს, რომელიც მგზავრებს ნიუ იორკიდან ტოკიომდე 6 საათში ჩაიყვანს.

ამ მიზნის მისაღწევად, იაპონელებმა პარტნიორული კონტრაქტი გააფორმეს ფრანგებთან. მხარეები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ შექმნილი ახალი, 300-კაციანი ლაინერი 2015 წელს დაიწყებს ფრენებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სიჩქარეს განავითარებს ახალი თვითმფრინავი, თუმცა იაპონელებმა უკვე გამოსცადეს რეაქტიული ძრავი, რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელია 5.5 მახი (ერთი მახი ბგერის სიჩქარეს (1225 კმ/სთ) უდრის) კრეისერული სიჩქარის აკრეფა. შედარებისთვის, ფრანგულ-ბრიტანული "კონკორდის" სიჩქარე "მხოლოდ" 2 მახი იყო და მას მხოლოდ ასი მგზავრის გადაყვანა შეეძლო.

კონტრაქტი პარიზის ლე ბურჟეს ავიასალონის დროს გაფორმდა საფრანგეთის აეროკოსმოსური ინდუსტრიის ასოციაციასა და იაპონიის აეროკოსმოსური კომპანიების საზოგადოებას შორის. ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებით, ყოველწლიურად საკვლევი სამუშაოებისთვის გამოიყოფა 1.84 მილიონი დოლარი. საკვლევი სამუშაოები, რომელიც გულისხმობს მომავალი თვითმფრინავის და ახალი რეაქტიული ძრავის მასშტაბური მოდელების გამოცდებს, სამ წელიწადს გასტანს.



იაპონურ-ფრანგულ ზებგერითს ფრენას რაკეტა ასწავლის.

სანამ თვითმფრინავის საბოლოო პროექტი დამუშავდება და მის განხორციელებას მწვანე შუქი აენთება, ფრანგ და იაპონელ აეროკოსმოსურ კონსტრუქტორებს მოუწევთ რიგი პრობლემების გადაჭრა, რომლებმაც "კონკორდების" ექსპლუატაციის დროს იჩინა თავი.

სხვათა შორის, იაპონელებმა ამ თვითმფრინავს უკვე უწოდეს "ზებგერითი ტრანსპორტი", თუმცა როგორც კი მის შესახებ პრესაში ინფორმაცია გამოჩნდა, იქ უმალ შეარქვეს მეტსახელი "კონკორდის ძე".

იმ პრობლემებს შორის, რომლებიც "კონკორდს" აწუხებდა, იყო საწვავის უსაშველოდ დიდი ხარჯი და მცირე რაოდენობით მგზავრთა გადაყვანის უნარი, რაც მის ექსპლუატაციას აძვირებდა. პროექტ "კონკორდის" მონაწილე ინგლისელებმა და ფრანგებმა თვითმფრინავის შექმნაზე მილიარდობით დოლარი დახარჯეს, მაგრამ 1969-2003 წლებში, როცა მის ექსპლუატაციას ეწეოდნენ, ვერ შეძლეს დაბანდებული ფულის უკან დაბრუნება.

10 ოქტომბერს იაპონიის აეროკოსმოსური კვლევის სააგენტომ (JAXA - ჯეპან აეროსპეის იქსპლორეიშნ აგენსი) ავსტრალიის სამხრეთში მდებარე უდაბნოში, ყოფილ ბრიტანულ სარაკეტო საცდელ ბაზა ვუმერაზე, წარმატებით ჩაატარა ზებგერითი თვითმფრინავის პროტოტიპის გამოცდა.

საცდელი აპარატი ჰაერში გაიყვანა რაკეტამ. გარკვეული სიმაღლის აღების შემდეგ, თვიმფრინავი "გათავისუფლდა" და სრულად გაიარა 15-წუთიანი ტესტი, რომლის განმავლობაშიც, ტელემეტრიის სპეციალისტებმა სპეციალური გადამწოდების მეშვეობით, შეძლეს საფრენი აპარატის აეროდინამიკის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

ფრთიანი შუბის ფორმის პროტოტიპი, რომლის სიგრძე სულ 11.5 მეტრია და რომელიც არანაირი ძრავით არ იყო აღჭურვილი, რაკეტამ დაახლოებით 14 კილომეტრის სიმაღლეზე აიყვანა და შემდეგ გაუშვა. თვიმფრინავმა თავისუფალი პლანირებით, ორი მახი სიჩქარე განავითარა, მიწაზე კი პარაშუტების მეშვეობით, ყოველგვარი დაზიანების გარეშე დაეშვა.

სხვათა შორის, ფრანგებსა და იაპონელებს შორის დადებული ხელშეკრულება სულაც არ ითვალისწინებდა ვუმერას ბაზაზე ამ ტესტის ჩატარებას. თუმცა, იაპონელები მიღებულ ტელემეტრიულ მონაცემებს ფრანგ პარტნიორებთან ერთად უპირებენ დამუშავებას.

# ახალი მასალები ინდუსტრიულ რევოლუციას გვპირდებიან

ბრიტანელ და რუს მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრე გეიმი ხელმძღვანელობას, შექმნა მასალების თვისობრივად ახალი კლასი, რომელთა მსგავსიც ადრე მხოლოდ სამეცნიეროფანტასტიკურ ფილმებსა და წიგნებში თუ არსებობდა.

სამეცნიერო ნაშრომში "ორგანზომილებიანი ატომური კრისტალები", რომელიც უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა, ნათქვამია: "ეს არის სრულიად ახალი ტიპის მასალების მთელი კლასი, რომელთა სისქე მხოლოდ ერთი ატომია. მას გააჩნია თვისებები, რომლებიც ადრე პრაქტიკულად შეუძლებლად იყო მიჩნეული.

გარდა იმისა, რომ ეს არის ულტრათხელი მასალები, საჭიროების შემთხვევაში, ისინი შეიძლება იყვნენ ზემტკიცენი, იზოლატორები, ან პირიქით - ზეგამტარები. ისინი უზარმაზარ შესაძლებლობებს უქმნიან კოსმოსური ერის ინჟინრებს. მათი სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიების შემუშავების შემდეგ, ჩვენ შევძლებთ, ხორცი შევასხათ ისეთ იდეებს, რომლებიც ადრე მხოლოდ ფანტასტიკურ რომანებში თუ შეგხვდებოდათ", - ამბობს გეიმი და დასძენს:



"ლაპარაკია არა მხოლოდ უბრალოდ, "ჭკვიან" მოწყობილობაზე, რომელიც საჭიროებისამებრ იცვლის თვისებებს. ეს მასალები ისევე შეცვლიან ჩვენს ცხოვრებას, როგორც ეს ერთხელ უკვე გააკეთეს პოლიმერებმა. ამ ახალი, ერთატომიანი მასალების გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც ტანსაცმლის, ისე კომპიუტერებისა და ავტომობილების წარმოებაშიც კი".

ახალ მასალას გრაფენი უწოდეს, რადგან ის ნახშირბადისგან მიიღეს. მის შესაქმნელად მეცნიერებმა გამოიყენეს ტექნოლოგია სახელწოდებით "მიკრომექანიკური განშრევება". მისი მეშვეობით, შესაძლებელი გახდა ჩვეულებრივი კრისტალებისგან ერთი ატომის სისქის მქონე შრეების მიღება. სწორედ საწყისი კრისტალის თვისებათა შესაბამისად, მათგან მიღებული ერთატომიანი შრეები შეიძლება ატარებდნენ მეტალის, ნახევარგამტარის, იზოლატორის, მაგნიტის და ა.შ. თვისებას.

ადრე მიჩნეული იყო, რომ ასეთი ულტრათხელი მასალების არსებობა შეუძლებელია. მაგრამ ახლა მეცნიერებმა ცდებით დაამტკიცეს, რომ "ერთატომიანები" რეალობაა და უფრო მეტიც, მათი მიღება არც ისე ძნელია.

"ჩვენი აღმოჩენა არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ან ორი ახალი მასალით. ეს არის მასალების მთელი კლასი, რომელიც ათასობით ახალ მასალას აერთიანებს და რომლებსაც აბსოლუტურად განსხვავებული თვისებები აქვთ. მათი გამოყენება სხვადასხვა სფეროშია შესაძლებელი. თუმცა, ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილი კლასის ბევრ მასალას ათწლეულების შემდეგ გამოუძებნიან გამოყენების სფეროს. არც ისე შორსაა დრო, როდესაც ადამიანი შექმნის ზესწრაფ ტრანზისტორებს, მიკრომექანიკურ და ნანომოწყობილობებს, რომელთა საფუძველიც ერთი ატომის სისქის კრისტალები იქნება", - ამბობს პროექტის მონაწილე რუსი მეცნიერი კონსტანტინ ნოვოსელოვი.

ახალი მასალის გამოყენება შესაძლებელი იქნება კოსმოსურ ლიფტებში, ჯარისკაცთა ჯავშანჟილეტებში, საავიაციო და საავტომობილო მრეწველობაში, მშენებლობასა და სხვა სფეროებში. პროფესორმა გეიმმა ახალი ტიპის მასალით პირველი ქსოვილი ჯერ კიდევ შარშან მიიღო. იგი იმედოვნებს, რომ მალე შესაძლებელი გახდება გრაფენის და მისი კლასის მასალების მასობრივი წარმოება.

თვალსაზრისი

# ერთი ბარის გამო

სანდრო ნავერიანი

დაგვიანებით, მაგრამ პრინციპით "სჯობს გვიან ვიდრე არასდროს" ვეხმაურები ეკა ხოფერიას საავტორო თოქ-შოუს "თავისუფალი თემის" ხუთშაბათის მთავარ თემას "ჯეობარი".

დავიწყებ იმით, რომ ამ რეალითი შოუს არც გადამკვდარი "ფანი" ვარ და არც მაღიზიანებს. არ მაღიზიანებს უბრალო მიზეზის გამო: თუ არ მინდა, არ ვუყურებ - "რუსთავი 2"-ის გარდა უამრავი არხი არსებობს. არც იმას დავმალავ, რომ "ჯეობარის" ერთ-ერთი მონაწილე ძალიან მაღიზიანებს და დიდი სიამოვნებით გავუნგრევდი თავ-ყბას.

"ჯეობარელების" და "ჯეობარის" პროდიუსერების წინააღმდეგ ბევრი ცუდი ითქვა, თუმცა ამ ცუდს სტუდიაში მყოფთა აპლოდისმენტები, ძირითადად, მარი ნაკანის რეპლიკებს მოჰყვებოდა ხოლმე; - აბალანსებდა. ასე რომ, უარყოფით-დადებითის დისბალანსს ადგილი არ ჰქონია.

თოქ-შოუს მსვლელობისას ძალიან ბევრი რამ არ მომეწონა. მართალია, ჩემზე არ არის აგებული ეს ქვეყანა, მაგრამ არც მათზეა და ამიტომაც გამაღიზიანა "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" წარმომადგენლის, ბატონი ლევან ჩაჩუას განცხადებამ, რომ თურმე მღვდლების გარკვეულ ნაწილს თავისი მრევლისთვის აუკრძალავს "ჯეობარის" ყურება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ აზიარებენ. ჩემთვის მიუღებელია ის, რომ მორწმუნე და ეკლესიური ადამიანი უზიარებელი დატოვო. თუ არ ნახა მრევლმა რა არის ცუდი და რა არა, ის ყოველთვის აცდენილი იქნება ჭეშმარიტებას და სადღაც, ადათ-წესსა და ევრორემონტს შორის იქნება გაჩხერილი.

ასი პროცენტით ვეთანხმები ნინო ჯაფიაშვილს, რომელმაც თქვა, რომ "ჯეობარი" საზოგადოების სარკეა. როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს თქვენთვის და რამხელა ტრაგედიასაც არ უნდა წარმოადგენდეს, რეალობას თვალებში უნდა შეხედოთ და აღიაროთ: ეს არის თაობა, რომელიც გინდა არ გინდა, ქვეყანას ჩაიბარებს და მომავალს შექმნის. თქვენ, არც ერთს არ გაქვთ უფლება გაკიცხოთ ისინი და აუკრძალოთ ის, რისი აკრძალვის უფლებაც არ გაქვთ. ყოველდღე, რომ ათობით ახალგაზრდა ბიჭი იპარება კაიფში და ათობით ახალგაზრდა გოგოს კარგი მომავლის იმედით საზღვარგარეთ უკრავენ თავს და ბორდელებში აგდებენ, ეს არ არის მართლმადიდებელი მშობლების საქმე? რატომ არ ეწევით ანტინარკომანულ კამპანიას? ეს არ არის თქვენი საქმე? ან ქუჩაში რომ პატარა ნასტიას (ჩემი ნაცნობი უსახლკარო ბავშვი, ბაზალეთის და ჭავჭავაძის კუთხეში დგას და მათხოვრობს) ხედავთ, არ გინდებათ მის დასაცავად გამოსვლა? შეიძლება გინდებათ კიდეც, უბრალოდ, ამისთვის საქმის კეთება ხდება საჭირო და არა მაღალფარდოვანი სიტყვები და ფსევდოემოციები!

ქალბატონ ქეთი დოლიძეს პირადად არ ვიცნობ, თუმცა პატივისცემით ვარ მისდამი განწყობილი და არც ახლა ვეცდები ეს პატივისცემა უპატივცემულობით შევცვალო, უბრალოდ, მინდა იმ კითხვაზე გავცე პასუხი, რომელიც მან დასვა. კითხვა ასეთი შინაარსის იყო: რა გზით უნდა გაიმარჯვოს და მოიპოვოს ის 35 ათასი ამა თუ იმ მონაწილემ. რა გზით ქალბატონო ქეთი და იმავე გზით, როგორითაც ცხოვრებაში ვაღწევთ ამა თუ იმ წარმატებას. თქვენ, უბრალოდ, ვერ გაათვითცნობიერეთ ის, რომ "ჯეობარი" ცხოვრების პატარა მოდელია, მიკროზე მიკროა, მაგრამ იგივეა, რაც ჩვენ მიერ განვლილი ცხოვრება. კბილებით უნდა გაიტანოს თავისი ნებისმიერმა "ჯეობარელმა" და ბოლომდე იბრძოლოს იმ 35 ათასისთვის, რადგან: კაცობრიობას, განსაკუთრებით ქართველებს, ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ბოლომდე თუ არ მოეჭიდე, დაიჩაგრები. ქართველები, განსაკუთრებით თქვენი თაობა, ხშირად შუა გზაში მიატოვებდა ხოლმე საქმეს იმიტომ, რომ დაბრკოლებების ეშინოდა. აქ კი, თქვენც კარგად ხედავთ, რომ ყველაფერს აკეთებენ ეს გოგო-ბიჭები იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიონ. ნუთუ არ გინდათ მიზანდასახული და მიზნისათვის, თუნდაც მაკიაველიზმის გამოყენებით მებრძოლი თაობა? თუ გირჩევნიათ ისევ ისეთი მდორე, არადინამიური ცხოვრება გვქონდეს, როგორიც თქვენ გქონდათ? და თუ ამაში რამე ცუდს ხედავთ, დამიჯერეთ, ჩვენც - ახალგაზრდები - ნათლად ვარჩევთ კარგს და ცუდს. თუ არ გავიგეთ რითი ვართ ავად, ხომ ვერასოდეს ვიმკურნალებთ, ასე რომ, გვაცადეთ ჩვენვე მივხვდეთ, რა გვაქვს უარყოფითი, რომ შემდეგ მის გამოსწორებას შევეცადოთ. ასე, კრიტიკით ვერაფერს გახდებით, მერწმუნეთ. და კიდევ ერთი, ძალიან გაკვირვებული დავრჩი იმით, რომ პოლემიკის ხერხად მხოლოდ კრიტიკას იყენებდით. თქვენი თაობის და ასაკის ხალხს უნდა შეეძლოს საკითხის მიმართ ჯანმრთელი მიდგომა, გამოსავლის ძებნა და არა კრიტიკა. გაკრიტიკება ძალიან ადვილია, მერწმუნეთ ამაში, რადგან ახლა სწორედ ამას ვაკეთებ და თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა ზიპინ-ზიპინით მიდის.

**P.S.** არ ვარ "ჯეობარელი" ან/და მაყურებელი ამ "გარყვნილებისა" - როგორც ზოგიერთები უწოდებენ. თუ "ჯეობარი" გარყვნილებაა, მაშინ ძალიან ცუდად გვქონია საქმე! რატომ? ორი მიზეზია. პირველი: "ჯეობარი" რეალური ცხოვრების მართლაც რომ სარკეა. გამომდინარე აქედან ჩვენი ცხოვრებაც გარყვნილებაა. მეორე: ფარისევლობთ! იმიტომ რომ გვიკრძალავთ იმას, რასაც თავად აკეთებთ. დაბოლოს, ისიც იცოდეთ, რომ ნებისმიერი თაობა ანალოგია თავისი წინა თაობისა. ასე რომ, თქვენში ეძებეთ გარღვევები!

# მინიატურებიანი თავისუფლება

სოფო კილასონია

გუშინ საღამოს გალერეა "ჰობი" საკმაოდ ფართო საზოგადოებას მასპინძლობდა. ამჯერად ახალმა გამოფენამ, მისი მხოლოდ ერთი დარბაზი დაიკავა. გალერეაში წარმოდგენილმა ლევან მარგიანის ნამუშევრებმა, არც თუ ისე კარგი განათების მიუხედავად, მაქსიმალური ყურადღება მაინც მიიპყრეს და არაერთი დამთვალიერებლის გულიც მოიგეს.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ლევან მარგიანი რელიგიურ თემებზე მუშაობს. აქედან გამომდინარე, გამოფენაზე მისვლამდე კონკრეტული განწყობა შევიქმენი და კონკრეტული საკითხებითაც დავინტერესდი. რელიგიური თემატიკა ძალიან ფართო და მრავლისმომცველი ცნებაა, მთელი ქსელი მიმართულებებისა, რომლითაც მხატვარი შესაძლოა, დაინტერესდეს და რომლის ხან მკაცრი და ხანაც შედარებით მსუბუქი კანონები უნდა იტვირთოს. ამ თვალსაზრისით, ლევან მარგიანმა არჩევანი მინიატურაზე შეაჩერა, თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ მან წმინდა ოთხთავი მოხატა და ის წარმოგვიდგინა. მინიატურის არჩევანში, პირველ რიგში, სტილის, ფორმის და ხშირ შემთხვევაში მეთოდის არჩევანს ვგულისხმობ. სამივე მათგანი აიღო და პატარა მინიატურული კომპოზიციები დაზგურ სურათებად აქცია. თანაც ხალისიანი ესთეტიკით, ქართული ჭედური ხატებისთვის დამახასიათებელი მოჩარჩოებით და ბავშვური, ოდნავ ნაივური ტიპაჟებით შექმნა და მოკაზმა.

**- როდის იწყებს მხატვარი რელიგიურ თემებზე მუშაობას და რამდენად იზღუდება ამ შემთხვევაში მისი არტისტული თავისუფლება?**

- მე გავიზარდე იმ აზრით, რომ ხელოვნება მოითხოვს აბსოლუტურ თავისუფლებას, მაგრამ როდესაც აღმოვაჩინე ცხოვრებაში, რომ არსებობს ხელოვნებაზე და ყველაფერზე უფრო დიდი რამე, მაშინ მივხვდი, რომ ყველაფრის ხატვა, ისე როგორც გეხატება, არ შეიძლება. ყველა სიტყვაზე ადამიანს პასუხი მიეგებაო და ამიტომ მინდა კარგად ავხსნა ის, რასაც ვამბობ. არის ხატწერა, ხატი არის ლიტურგიკული დანიშნულების, ანუ ღვთისმსახურების საგანი. შესაბამისად აქედან წამოვიდა მინიატურის საკითხები. მინიატურაში მკაცრი კანონიკა არაა. კონკრეტულად მე რასაც ვაკეთებ, ეს არის იგავები, სადაც გადმოცემულია თხრობითი სიუჟეტი, რომლის ილუსტრირებაც ხდება. ეს მეტნაკლებად თავისუფლებას აძლევს მხატვარს. ყველა ადამიანს აქვს თავისი თავისუფლების დონე, თვითონ შეიგრძნობს როგორი თავისუფლება სჭირდება. მინიატურას აქვს თავისი გამომსახველობითი ხერხები. მე ამ ხერხებით მსიამოვნებს მუშაობა, - გვპასუხობს ლევან მარგიანი, რომელმაც მინიატურების გარდა გამოფენაზე რამდენიმე უბრალოდ რელიგიური სიუჟეტებით ასოცირებული ნამუშევარიც წარმოგვიდგინა.



**- რა იყო იქამდე, სანამ ამ სტილში და ამ მიმართულებით დაიწყებდით მუშაობას?**

- მხატვრის სახლის შემოქმედებით სახელოსნოში ვმუშაობდი, მაგრამ...

მაგრამ მხატვრის სახლმა მისი ნამუშევრების უმრავლესობა იმსხვერპლა. მას შემდეგ მნიშვნელოვანი ალბათ ბევრი მოხდა მხატვრის ცხოვრებაში, დარწმუნებული ვარ ბევრიც დაიხატა, მაგრამ ლევან მარგიანი სიტყვაძუნწია; მითხრა, რომ იყო დეპრესია და სხვა არაფერი. დეპრესია იქამდე, სანამ ეკლესიაში შევიდოდა და სანამ ახალი ეტაპი დაიწყებოდა მის ცხოვრებაში. მაგრამ ერთი ამბავი გამოყო განსაკუთრებულად. მხატვრის სახლის დაწვის შემდეგ, სახელოსნო არ ჰქონია. ერთ-ერთი გამოფენის შემდეგ კი დახმარება ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს შეუთავაზებია. ამიტომაც უკვე მრავალი წელია, რაც ლიტერატურის მუზეუმში, სახელოსნოში მუშაობს და ქალბატონი იზასადმი მადლიერების გრძნობა არ უქრება.

# ეკა და სასამართლო

**ეკა კვესიტაძე**: "დიალოგების" თემაა სასამართლოში მიმდინარე პროცესები, დაპირისპირებები და გარკვეული ბრალდებები, რომლებიც კონკრეტული მოსამართლეების მიმართ ისმის ხოლმე ამ ბოლო დროს. გადაცემის სტუმრები არიან მოსამართლეები: მერაბ ტურავა და ნინო გვენეტაძე.

გიგა ბოკერიამ დავით სულაქველიძე დაადანაშაულა იმაში, რომ მას ჰქონდა გარკვეული გარიგებები წინა ხელისუფლებასთან. როგორც ჟურნალისტმა, ვიცი ერთი რამ, რომ დავით სულაქველიძე აქამდე რეფორმირებული სასამართლოს ერთ-ერთ სახედ და პატიოსნების სიმბოლოდ ითვლებოდა. ბოკერიას მიერ იყო ზოგადი განცხადებები, რა კონკრეტული ბრალდებები იყო სინამდვილეში?

**ნინო გვენეტაძე**: დავაზუსტებ, ეს არა მარტო ბატონ დავით სულაქველიძის მისამართით გააკეთა ბატონმა ბოკერიამ, არამედ მე, ბატონი მერაბი და ბატონი დავითი მოიხსენიებოდა. ეს ჩვენთვის აღმაშფოთებელია, სხვა კვალიფიკაცია რომ აღარ გავაკეთოთ. ჩვენ ვითხოვთ კონკრეტული დროის, ფაქტის და ვითარების დასახელებას, როდესაც ჩვენ მათი თქმით გარიგებებზე წავედით.

**ეკა კვესიტაძე**: ბატონო მერაბ თქვენ ერთხელ აღნიშნეთ, რომ თავს იკავებთ კონკრეტული ფაქტების დასახელებისგან, რომლებსაც ადგილი აქვს უზენაეს სასამართლოში. ძალიან მინდა, რომ ისაუბროთ კონკრეტული ზეწოლის ფაქტებზე.

**მერაბ ტურავა**: შევარდნაძის სანაგვის ყუთში ძრომიალს, აჯობებს პარლამენტარებმა და სხვა პოლიტიკოსებმა, იმ მიმდინარე სამართალდარღვევებზე ისაუბრონ, რომლებიც საქართველოს სასამართლოს სისტემაში ხდება და იმას მიაქციონ ყურადღება, თუ ასეულობით ადამიანების უფლებები როგორ ირღვევა. ბატონ გიგა ბოკერიას პოზიციას, უფრო ლოგიკურს, დასაბუთებულს და საქმის ინტერესებიდან გამომდინარეს ჩავთვლიდი, რომ მას ხმა აემაღლებინა რომელიმე იმ უკანონობის წინააღმდეგ, რომელიც ამ ბოლო ორი წლის მანძილზე მომხდარა. ვინაიდან ჩვენ, რამდენიმე მოსამართლემ დავიწყეთ ამაზე საუბარი, უკან დახევას აღარ ვაპირებთ. საქართველოს პარლამენტის რამდენიმე დეპუტატმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას პარლამენტის საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიძიებს იმ კონკრეტულ სამართალდარღვევებს, რომელსაც საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და უზენაეს სასამართლოში ჰქონდათ ადგილი. მე, როგორც მოსამართლე ამ კომისიის წინაშე, ნებისმიერ სიტუაციაში დავასახელებ იმ კონკრეტული ზეწოლის და ფაქტების შესახებ, რაც იყო და არის.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ დაასახელებთ ამ ფაქტებს მერე და არა ახლა? და რა ფორმით ხდებოდა ზეწოლა?

**ნინო გვენეტაძე**: ეს ძალიან რთული საკითხია. აქ არის კონკრეტული პიროვნებების საქმეები, მათი ბედი, მათი სამართლებრივი სტატუსი. გვარების გახმაურება ნამდვილად არ წაადგება საქმეს. ზეწოლის ფორმები არის მრავალგვარი: წინასწარი ანგარიშის მოსმენა ჯერ არგანხილულ საკითხთან დაკავშირებით, მერე კი გარკვეული ფორმით მინიშნებების გაკეთება. ამას გარდა ხშირად თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს ხოლმე, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ამა თუ იმ მაღალჩინოსანთა სურვილია რაღაც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება.

**ეკა კვესიტაძე**: თქვენ არაერთხელ აღნიშნეთ, რომ ბოკერიას მხრიდან იყო ცილისწამება. აპირებთ თუ არა გასაჩივრებას?

**ნინო გვენეტაძე**: მისი განცხადებები ცილისმწამებლურია ზოგადად, მაგრამ პასუხისმგებლობის საკითხზე თუ ვისაუბრებთ, ჩვენ სამართლებრივი გზები და საშუალებები ყველაზე კარგად ვიცით, ამიტომაც ჩვენ, როგორც პოლიტიკოსს, გაკეთებული განცხადებების გამო პასუხისმგებლობას ვაკისრებთ, რომ მან განმარტება გააკეთოს ამ საკითხზე, ვითხოვთ, რომ გადაამოწმოს ფაქტები და მხოლოდ შემდეგ გამოხატოს მოსაზრება და დამოკიდებულება.

**ეკა კვეისტაძე**: როგორ ხდება დაბარება და გადაწყვეტილების კარნახი?

**მერაბ ტურავა**: რაიონულ და საოლქო სასამართლოების შემთხვევაში ასეთ ზეწოლას ახორციელებდა და ახორციელებს საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. როგორია ეს პროცედურა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინაიდან საზოგადოებამ და ამ შემთხვევაში პარლამენტმა ბატონი კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ გაამწესა არა იმიტომ, რომ მან კანონი დაარღვიოს და პროკურატურის დავალებები აღასრულოს, არამედ იმიტომ, რომ ის იყოს ადამიანის უფლებების ნომერ პირველი დამცველი. სატელეფონო ზარის საშუალებით მოსამართლეს კონკრეტულ დავალებებს აძლევენ, რომ მან მაინცდამაინც უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც პროკურატურას სურს. არის ისეთი საკითხები, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება არ უჭირთ და ისინი რაიმენაირ პრობლემებს არ წარმოაჩენენ და მინიშნებები საჭირო არაა, მაგრამ არის ისეთი საქმეები, სადაც ან მტკიცებულებები არ არის, ან ბრალი არ უდასტურდება ვინმეს და ა.შ. ერთ კონკრეტულ მაგალითს გეტყვით ისე, რომ არ დავასახელებ მონაწილეთა ვინაობას. ბატონი კუბლაშვილი სულ რამდენიმე საათის დანიშნული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ, მოსამართლეს უთხრა, რომ მსჯავრდებული, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა სამი წლით ჰქონდა შეფარდებული, არადა დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი, მაინც უნდა მჯდარიყო ციხეში, რადგანაც გარკვეულ პიროვნებებს ვერ აწყენინებდა.


## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

აცხადებს კონკურსს

საუკეთესო ავტორის გამოსავლენად 2005 წელს კინოს დარგში გამოქვეყნებული სტატიებისთვის

**ავტორებმა უნდა წარმოადგინონ არანაკლებ 7 სტატიისა 2005 წლის 20 დეკემბრამდე**

**გამარჯვებული ავტორისთვის დაწესებული ჯილდო შეადგენს 500 ლარს**

**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი**
**0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,**
**ტელ/ფაქსი: 984201**
**E-mail: office@filmcenter.ge**
**www.filmcenter.ge**


მეუღლე მადონა ფაცურია, შვილი ირინა შარაშიძე, სიძე გიორგი გორგილაძე, შვილიშვილები ნინო და სალომე გორგილაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნიკოლოზ ვლადიმერის ძე შარაშიძე**

პანაშვიდები: 9, 10 დეკემბერს 16 საათზე. გასვენება: 11 დეკემბერს 14 საათზე. მისამართი: ი. აბაშიძის 22, მე-4 სადარბაზო, პირველი სართული.

საქართველოს მთავრობის კანცელარია თანაგრძნობას უცხადებს გიორგი გორგილაძის ოჯახს **ნიკოლოზ ვლადიმერის ძე შარაშიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახური თანაგრძნობას უცხადებს გიორგი გორგილაძის ოჯახს **ნიკოლოზ ვლადიმერის ძე შარაშიძის** გარდაცვალების გამო.


## ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge






## მარიონეტების თეატრი

**10,11,17 და 18 დეკემბერი**

## "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"

დამდგმელი რეჟისორი
**რეზო გაბრიაძე**
სპექტაკლის დასაწყისი
**19 საათზე**
იოანე შავთელის ქ.№26



## ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207